საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის
საფუძვლების კათედრა

ვახტანგ დათაშვილი

ეკონომიკური ისტორია და კონცეფციები
ლექციების კურსი

თემა – სულხან საბა ორბელიანის
ეკონომიკური შეხედულებები

თბილისი 2006

UDC (უაკ) 33.081479.22
+894.631.09
დ-161

ვ.ს. დათაშვილი. სულხან-საბა ორბელიანი ეკონომიკური შეხედულებები
ლექციების კურსი. თბილისი 2006 – 44 გვ.

სტუ-ის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრაზე მომზადდა ლექციების კურსი დისციპლინაში „ეკონომიკური ისტორია და კონცეფციები“. წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი თემა ლექციების აღნიშნული კურსიდან.

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის, როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრებისათვის და აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

მეც. რედაქტორი – ე.მ.დ. პროფ. კ. ლურწკაია
რეცენზენტი – ე.მ.დ. პროფ. ი. ბარათაშვილი
ე.მ.დ. ზ. თოლორდავა

© ევროპული უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2006
© ვ. დათაშვილი

ISBN 99940-0-0713

Georgian Technical University
Chair og Economic Theory and
Marketing Basics

Vakhtang Datashvili

ECONOMIC HISTORY AND CONCEPTIONS

Lecture course

Team – Sulkhan-Saba Orbelian's
Economic points of view

Tbilisi 2006

წინასიტყვაობა

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის დიდი ქართველი მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა შესწავლილია მრავალმხრივ. იგი, როგორც მეცნიერი ლექსიკოგრაფი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მხატვრული სიტყვის ოსტატი, მწერალი, რედაქტორი, ბუნებისმეტყველი, შესწავლილია აკად. ბროსეს, პროფ. ალ. ცაგარელის, მოსე ჯანაშვილის, აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. ა. შანიძის, აკად. არ. ჩიქობავას, აკად. კ. კეკელიძის და სხვების მიერ.

სულხანის პედაგოგიკურ შეხედულებათა შესწავლას სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ე. ლორთქიფანიძემ, მისი ფსიქოლოგიური შეხედულებები შეისწავლა პროფ. ა. ფრანგიშვილმა, ფილოსოფიური შეხედულებები — პროფ. შ. ნუცუბიძემ, პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები — პროფ. ივ. სურგულაძემ, ეკონომიკური შეხედულებები პროფ. ვ. ჩანტლაძემ და აკად პ. გუგუშვილმა.

ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამუშავებულია ქართული ენის ამოუწურველი საუნჯის, სულხანის ლექსიკონის საფუძველზე. სულხანის ლექსიკონში ეპოულობთ თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინების სათავეებს. ამიტომ სულხანის ლექსიკონმა დიდი სამსახური გაუწია ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებას და კიდევ დიდხანს შეუძლია ემსახუროს მის შემდგომ განვითარებას.

სულხანის ქართული ლექსიკონი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის ეკონომიკურ შეხედულებათა გასარკვევადაც.

სულხანის ეკონომიკურ შეხედულებათა დასადგენად ლექსიკონთან შედარებით უფრო დიდ მასალას გვაძლევს მისი შრომები: „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“. ერთი იმიტომ, რომ ლექსიკონში ეკონომიკურ ტერმინთა განმარტებები სხვა დარგის ტერმინთა განმარტებებთან შედარებით უფრო მცირედად არის წარმოდგენილი, შრომებში კი გამოთქმულია აზრები, გაკეთებულია დასკვნები. „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“ დაწერილია მისი თანადროული ეპოქის ენით.

სულხანი თავისი აზროვნებით, მოთხოვნებით წინ უსწრებდა თავის ეპოქას. ის ითვალისწინებდა იმ შესაძლებლობას, რა გზითაც საქართველოს ცხოვრება განვითარდებოდა და იბრძოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასეთი აზრები და მოთხოვნები დაყენებულია მის შრომებში, თავისთავად ცხადია, იგი ლექსიკონში შეტანილი ვერ იქნებოდა.

რიგი სიტყვებისა, რომლებიც სულხანის აზრით, იმ დროისათვის თავისთავად გასაგებად იგულისხმებოდა, ლექსიკონში განმარტებული არ არის. შრომები „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“, რომლებიც დაწერილია სულხანის თანადროული ეპოქის ენით და სადაც მსჯელობა და დასკვნებიცაა მოცემული, შედარებით უფრო მეტ მასალას გვაწვდის სულხანის ეკონომიკურ შეხედულებათა შესასწავლად, ანდა კიდევ – იმ აზრით, რომ სულხანის ყველა შრომის მთლიანობაში განხილვა მის ეკონომიკურ შეხედულებათა დასადგენად ლექსიკონის გამოყენების შესაძლებლობას ხრდის.

შესავალი

სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები შემუშავდა საქართველოში ფეოდალიზმის მწარდი კრიზისის პირობებში. ეს იყო XVIII საუკუნის დასაწყისი, რაც ქართველი ხალხის ისტორიაში გვიანი ფეოდალიზმის ხანად ითვლება.

გვიანი ფეოდალიზმის ხანა დასავლეთ ეპოქის ქვეყნებისათვის წარმოადგენს ფეოდალიზმის დაშლის ხანას. იქ ფეოდალიზმის დაშლა იწყება X–XII საუკუნეებიდან და გრძელდება XVII–XVIII საუკუნეებამდე. XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია ნიდერლანდებში, XVII საუკუნის შუა ხანებში – ინგლისში, XVIII საუკუნის ბოლოს – საფრანგეთში, 1848-1849 წლებში გერმანიასა და ავსტრიაში. ამით ამ ქვეყნებში დამთავრდა ფეოდალიზმი, როგორც სასოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და ოფიციალური აღიარება მიიღო მის წიაღში ჩასახულმა და განვითარებულმა კაპიტალური წარმოების წესმა.

საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ფეოდალიზმი დაიწყო IV–V საუკუნეებიდან. XII–XIII საუკუნეებში მაღალგანვითარებულია და მისი დაშლის დასაწყისის წანამძღვართა წარმოშობის ტენდენციაც აღინიშნა, მაგრამ საქართველოსათვის საბედისწერო რიგმა ისტორიულმა მომენტებმა გააძრუდეს განვითარების ეს ხაზი და გაახანგრძლივეს აქ ფეოდალიზმი. ეს მომენტები იყო: პირველი – XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევა, ქვეყნის აოხრება და რამდენიმე საუკუნის მანძილზე მათი ბატონობა საქართველოში. მეორე – XV საუკუნეში თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღება და ევროპისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა საქართველოსათვის. კაპიტალიზმის განვითარება მსოფლიო ბაზრების გარეშე შეუძლებელია. შინაური და საგარეო ბაზარი ორივე სჭირდება კაპიტალიზმს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა აზიისაკენ მიმავალი სხვა გზა და ახალი მატერიკი – ამერიკაც აღმოაჩინეს. ამის შემდეგ ევროპის ხელოსნური წარმოება ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს; ვაჭრები ჩაერიენ ხელოსნური წარმოების ორგანიზაციაში და შეიქმნა კაპიტალისტური წარმოების ფორმები მანუფაქტურისა და ფაბრიკის სახით.

ფეოდალიზმის დაშლისათვის წანამძღვრების შექმნა საქართველოში დაიწყო მას შემდეგ, რაც მოხერხდა მის მიერ კავშირ-ურთიერთობის აღდგენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან. XVII და XVIII საუკუნეებში იზრდება მათი გავლენა საქართველოზე.

საქართველოში გვიანი ფეოდალიზმის ხანა შესაძლებელია გაიყოს ორ ფაზად – პირველი ხასიათდება სათავადოების წარმოშობით და საქართველოს სახელმწიფოს სამთავროებად დაშლით; მეორე შეიცავს საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წანამძღვრებისა და, დასასრულს, თვით დაშლის ელემენტთა წარმოშობას. ეს მეორე ფაზა საქართველოში იწყება XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისიდან, უფრო გამოკვეთილად კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფეოდალიზმის დაშლამ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს რუსეთის დაპყრობის შემდეგ, როდესაც დაშლას ობიექტურად მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი ღონისძიებებიც ხელს უწყობდნენ. დასასრულ, ბატონყმობა იქნა გადაგდებული რუსეთში 1861-1863 წლებში, საქართველოში – 1864-1871 წლებში. ამის შემდეგ საქართველოში თანდათანობით განვითარდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია.

XVIII საუკუნიდან საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წანამძღვართა შექმნის მაჩვენებელია იმდროინდელი ქალაქური ცხოვრების განვითარების მაღალი დონე, როდესაც იქმნება დიდი ქალაქი და რიგითი ქალაქები. ქალაქი თბილისი იმ დროისათვის წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს. ამ მხრივ საყურადღებოა არა მარტო ქალაქური დასახლების ზრდა, არამედ ისიც, რომ ქალაქი თანდათანობით მკვეთრ დაპირისპირებაში შედის სოფელთან და მასზე ბატონობას იწყებს. ვითარდება შრომის დანაწილება ქალაქსა და სოფელს შორის, იზრდება ფულადი მეურნეობა ქალაქებში და სოფელთა ექსპლოატაცია ქალაქების მიერ. ფულადი მეურნეობის ზრდა იწვევს ნატურალური რენტის ფულად რენტად შეცვლას. აქ აღსანიშნავია ის მომენტი, რომ თბილისი საჭირო შეიქმნა თვით ფეოდალებისა და გლეხებისათვის, ვინაიდან მათთვის აუცილებელი გახდა ფული. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სამრეწველო პროდუქციას იძენს თბილისში, ან თბილისელი ვაჭრები აწოდებენ მას ადგილზე. ეს საქონელი ნაწილობრივ ადგილობრივი ხელოსნური წარმოებისაა, ნაწილობრივ – საზღვარგარეთულია, შემოზიდული საფრანგეთიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და სხვ. ხელოსნური წარმოება საკმარისად განვითარებული იყო ქალაქის კედლების შიგნით. თბილისი ხელოსნური ნაწარმით ამარაგებდა მთელ საქართველოს და მისი პროდუქცია საართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა. თბილისიდან საზღვარგარეთ გაიზიდებოდა აგრეთვე დიდი რაოდენობით ნედლეული. როგორ უნდა ეშოვნათ ფეოდალებს ფული? მათ ან ვინმე უნდა

გაეძარცვათ, ან რაიმე გაეყიდათ, ან გლეხთა ნატურალური გამოსაღები ფულადი გამოსაღებით შეეცვალათ, ან მეიჯარისათვის მიემართათ. დიდი ფეოდალები საბაჟო გადასახადებს ადებდნენ მათ ტერიტორიაზე გამავლელ ვაჭრებს, ფულად გამოსაღებს აკისრებდნენ გლეხებს, ნატურალური გამოსაღების სახით მიღებული პროდუქციის ნაწილს ყიდდნენ, ტყეების გაყიდვას ეწეოდნენ და მევახშეებსაც მიმართავდნენ სესხისათვის. ფულადი გამოსაღების შემოღებამ გლეხები გადააქცია ნაწილობრივ საქონლის მწარმოებლებად. ქალაქები ერთმანეთს დაუკავშირდა და მოისპო ადგილობრივი შეზღუდულობა. ამ ნიადაგზე განვითარდა საეჯრო და საკრედიტო ურთიერთობა და გაიზარდა ვაჭრული და ვახშური კაპიტალი, რომლებიც ფეოდალებსა და წვრილმწარმოებლებს ქონებას აცლიდნენ ხელიდან. საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წანამძღვრებს ქმნიდნენ არა მარტო ადგილობრივი ქართული ვაჭრული და ვახშური კაპიტალები, არამედ უცხოურიც. ამ დროისათვის საქართველოში ფული მისთვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით უკვე იყო მოქცეული. ამის უცილობელ დადასტურებას წარმოადგენს უამრავი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წანამძღვართა ზრდის მაჩვენებელია სახელმწიფო მანუფაქტურების და სამთო წარმოების მოწყობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, აგრეთვე ყოველგვარი წარმოების საშუალებებისაგან განთავისუფლებულ გლეხთა ნაწილის არსებობა, რასაც ქმნიდა ფეოდალთა აუტანელი ექსპლოატაცია, ფეოდალური უღლიდან გლეხთა გაქცევა, ვაჭრული და ვახშური კაპიტალის დამარღვეველი როლი, ტყვეების მიერ დამპყრობელთაგან გამოქცევა ან თავის დახსნა და სხვ.

ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვართა ზრდის ტენდენციის გამომხატველია აგრეთვე სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ სამეფო ხელისუფლებისათვის მხარდაჭერა და სამეფო ხელისუფლების მიზნევა პროგრესულ ელემენტად.

ამასვე ადასტურებს სამეფო ხელისუფლების მიერ წარმოებული ცდები ვაჭართა კლასთან დაკავშირებისათვის. მეფეებს სჭირდებათ ფული, ისინი ქმნიან მუდმივ ჯარებს, ჯერ მცველთა რაზმის, შემდეგ მორიგისა და დაქირავებული ჯარების სახით, რაც დიდ ფეოდალთა საერთო მდგომარეობის გაუარესებას, მათი სამხედრო მონოპოლიის შეზღუდვას და რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციულ თანამდებობათა დაკარგვის საფრთხესაც მოასწავებდა.

ვახტანგ VI-მ დააწესა მცველთა ჯარი, რომელიც დაქირავებული

იყო და საშინაო დანიშნულებით გამოიყენებოდა; ამით მან რეაქციონერ თავადთა გულისწყრომა დაიმსახურა. შემდეგ ერეკლე II-მ დააწესა მორიგე ჯარი, გიორგი XII-საც ჰყავდა დაქირავებული ჯარი.

საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვარია მეფეების მიერ ტყვეების სყიდვის აკრძალვა, საგლეხო საკითხის მოწესრიგების ცდები, რაც ეროგვარად მუშა ძალაზე ზრუნვასაც გამოხატავდა.

სამოცავროებად დაშლილ საქართველოს გაერთიანების მიდრეკილებაც ხსენებული პროცესის წანამძღვარს წარმოადგენდა. გაერთიანდა, როგორც ცნობილია, ჯერ ქართლი და კახეთი 1760 წელს. იმავე წელს განჯა და ერევანი დამორჩილდა საქართველოს. 1765 წლიდან ბორჩალო-ბაიდარსაც მეფის მოურავები განაგებენ. შემდეგ იმერეთი აყენებს მოთხოვნას ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაერთიანებისა. ის გარემოება, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას კრწანისთან იბრძოდა იმერეთის ჯარიც, თავისთავად საგულისხმო ფაქტია ამ მიმართულებით.

იმდროისათვის წარმოებს აგრეთვე მეფის პირადი ქონების გამოყოფა სახელმწიფო ქონებიდან, ადმინისტრაციული წესწყობილების მოწესრიგება, რაც ასახულია ჩვენს კანონმდებლობაში, სტამბის მოწყობა (თბილისში 1709 წ.), წიგნების ბეჭდვისა და განათლების გაერცელება, ლიტერატურაში ნაციონალური მიდრეკილების ზრდა და ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, ხალხური სტილის დაპირისპირება არისტოკრატულისადმი, ამასთანავე ზრდა თარგმნილი ლიტერატურისა არა მარტო ირანულიდან, არამედ რუსულიდანაც.

მიუხედავად ყოველივე ამისა, XVII – XVIII საუკუნეებში საქართველოში კაპიტალისტური წარმოება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ დროის საქართველოში მევახშეობისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი. იგი ეაჭრული კაპიტალის გვერდით ქმნიდა დამოკიდებულ ფულად ქონებას, ამასთანავე შრომის პირობების მითვისებით ანადგურებდა მათ, ვისაც მანამდე ჰქონდათ ამ შრომის პირობები. ყოველივე ამით მევახშეობა ხელს უწყობდა სამრეწველო კაპიტალის წანამძღვართა შექმნას. მაგრამ ვაჭრული და ვახშური კაპიტალი, რომლებიც საერთოდ ახალი წარმოების წესის შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა, ვერ ახერხებდა იმ დროის საქართველოში ახალი ნაბიჯების გადადგმას. ერთი იმიტომ, რომ არ იყო კაპიტალისტური წარმოების წესის სხვა პირობები, ზოგი, საერთოდ და ზოგიერთიც სათანადო სისრულით განვითარებული; მეორე, იმიტომ, რომ აზიის იმდროინდელი დიდი სახელმწიფოები ირანი და თურქეთი, რომლებიც მუდამჟამ ცდილობდნენ ვასალურ მდგომარეობაში ჰყოლოდათ საქართველოს სხვადასხვა ნაწილები, ზეწოლას ახდენდნენ მათზე თავიანთი „არსებობის აზიური ფორმით“, არბევდნენ და ანად-

გურებდნენ ხალხსა და მეურნეობას და აბრკოლებდნენ საქართველოს მეურნეობრივი განვითარების შემდგომ მსვლელობას. ისინი სარგებლობდნენ ქვეყნის დაქუცმაცებით და სათავადო სისტემის არსებობით და თავის მხრივ თვითონვე უწყობდნენ ხელს ამ უკანასკნელთა გაძლიერებასა და გახანგრძლივებას. მეურნეობის აზიური ფორმების არსებობისას.

ირან-თურქეთის დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებული ქართველი ხალხის თავდაცვითი ბრძოლა საქართველოს მეურნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა. ასევე გამაჰმადიანების, გაეინსილბაშების წინააღმდეგ რელიგიური ბრძოლა საქართველოს მეურნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა. როგორც ცნობილია, რელიგია იმ ხანად იდეოლოგიის გაბატონებული ფორმა იყო, რომელიც იმორჩილებდა ხელოვნებას, ფილოსოფიას და სხვ. ეკლესია არსებულ საზოგადოებრივ წყობას საერთო სანქციას აძლევდა. ამიტომ გამაჰმადიანების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლა წარმოების იმ აზიური ფორმების წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა, რომელსაც საქართველოს თავს ახვევდნენ ირანი და თურქეთი, რომლითაც ცდილობდნენ ისინი თავიანთი ბატონობის უსრუნველყოფისათვის შეესრულებინათ საქართველოში ფეოდალიზმის, დაშლის წინამძღვართა შექმნა-განვითარება. მეორე მხრივ, თვით ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც რელიგიურ გარსში იყო გახვეული. ქართული ფეოდალიზმი თავისი თვისებებით უფრო ახლო იდგა ევროპულ ფეოდალიზმთან, ვიდრე აზიურთან. ქართული რელიგიაც, რომელიც სანქციას აძლევდა არსებულ საზოგადოებრივ წყობას, ახლოს იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფო რელიგიასთან, მსგავსი იყო ბერძნული და რუსული რელიგიისა და არსებითად ეწინააღმდეგებოდა აზიურ სახელმწიფოთა რელიგიებს. XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში კაპიტალისტური წარმოების წესი უკვე დამკვიდრებული იყო, რომელიც რელიგიასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა. რელიგია ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ წყობას ამართლებდა. ამიტომ XVIII საუკუნის საქართველოში გაკათოლიკების ტენდენციაც ერთგვარად ერთ-ერთი გზა იყო საზოგადოებას თავი დაეღწია დუხჭირი ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური დაცემისაგან, გამკვლავებოდა რეაქციის შემოტევას და წარმართულიყო მეურნეობრივი აღორძინებისა და განვითარებისაკენ. ეს იყო ერთ-ერთი გზა იმ ძალების ძებნაში, რომელსაც საქართველო მოცემული მდგომარეობიდან უნდა გამოეყვანა, მაგრამ ამ გზამ იმ დროის საქართველოს საზოგადოების მოწინავე ნაწილს მთელ რიგ გარემოებათა გამო იმედები არ გაუმართლა.

1. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი

სულხან-საბა ორბელიანს ესმის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი მატერიალური წარმოებაა, არამატერიალური წარმოების სფერო მატერიალურ წარმოებას ემყარება და სხვადასხვანაირი მომსახურებით გადმოინაწილებს იქ შექმნილ მატერიალურ დოვლათთა ნაწილს. ის ამბობს, რომ ადამიანები ეწევიან სხვადასხვაგვარ საქმიანობას: ზოგი ხელით აკეთებს საქმეს, ზოგი „მუშაკობს“, ე.ი. მიწათმოქმედებას მისდევს, ზოგი საკანე თუ სავენახე ადგილებს ყიდულობს, ზოგი კიდევ საზოგადოებას ემსახურება სიტყვით, გალობით ან ცეკვით. ის წერს: „რომელიმე სიტყვით წინასწარმეტყველებს და იხარებს, რომელიმე ხელითა იქმნის საქმესა და მოასწავებს, რომელიმე მუშაკობს; რომელიმე მოიყიდოს აგარაკთა საკანედ, რომელიმე გალობს შვენიერად შობილისა ყრმისათვის, ვითარცა მრგვალთა მყოფელნი და სხვანი როკვენ, ვითარცა მეფეთრხისანი“.[1]

სულხანის აზრით, საქმიანობის მეორე დარგი რომ მატერიალურ დოვლათს არ ქმნის და დამოკიდებულია პირველზე, ჩანს მისი ერთერთი არაკიდან „მუშა და ბედი“, სადაც მას დაპირისპირებული ჰყავს მატერიალური წარმოების მუშაკი და არამატერიალური წარმოების სფეროს წარმომადგენელი. პირველი მუშაობს, ოფლს ღვრის და ბევრი აქვს. „იყო ერთი უცხო მუშა კაცი სოფელსა ერთსა“, რომელიც „ესრე მუშაობს, ოფლი ჩარეცხის“, მან „ქონებისა მისისა რიცხვი არა იცოდა“. მეორე იყო გლახაკი, რომელიც არც მუშაობდა, არც ვაჭრობდა, ჰქონდა ორძალი, მასზე უკრავდა და მღეროდა. სულხანი წერს: „კაცმან მან არა არ იცოდა, არც ვაჭრობა, არც მუშაობა; ორძალი კარგა იცოდა, არც ვაჭრობა, იმღერდის“.[2] ეს კაცი მოემსახურება მატერიალური სფეროს წარმოემადგენელს, მისგან დაეალებას ღებულობს და მასში საზღაურსაც. იგი ღარიბი, უქონელი და თავის ბედის მომდურავია. როგორც აღნიშნული იყო, როდესაც მან თავისი ბედი პირისპირ იხილა, საკრავი ინსტრუმენტი თავზე გადაამტვრია, რატომ მე არაფერი მაქვს, არ გამამდიდრეო. ამგვარად, სულხანს კარგად ესმის, რომ რაც უფრო ნაკლები იქმნება სიმდიდრე მატერიალურ წარმოების სფეროში და რაც უფრო ღარიბია ეს უკანასკნელი, მით უფრო ნაკლები გადანაწილება არამატერიალური სფეროს სასარგებლოდ.

---

[1] სიბრძნე სიცრუისა, გვ. 10.

სულხანმა კარგად იცის, რომ მატერიალისტური დოვლათის წარმოება შრომას მოითხოვს, უშრომლად ადამიანები მოთხოვნილებებს ვერ დაიკმაყოფილებენ, ვერ ჭამენ, ვერ შეიმოსებიან უშრომლად შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლე, „რომელსა კაცსა ჩასდებია საჭმელი უხელოდ, რომელსა შემოსია სამოსელი გაურჯელად“. აქ წინადადების პირველ ნახევარში ხმარებული სიტყვა „უხელოდ“[1] ნიშნავს უშრომლად: ამას ადასტურებს ამავე წინადადების მეორე ნახევარში გამოყენებული სიტყვა „გაურჯელად“, რომელიც იჭერს ადგილს სიტყვისა უხელოდ. გარჯა თაყის ლექსიკონში სულხანს განმარტებული აქვს როგორც „მოუსვენლობით შრომა“. ამგვარად, ხელის მოძრაობის გარეშე, მოუსვენარი შრომის გარეშე ადამიანი ვერაფერს ქმნის, თავს ვერ შველის, მიზანს ვერ აღწევს.

წყალწაღებულ მცურავსაც ეუბნებიან „ხელი გააქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო“.[2]

სულხან-საბა თაყის ლექსიკონში შრომას განმარტავს, როგორც მოქმედებისაგან დაღლას. შრომა არის ენერგიის იმგვარი ხარჯვა, რომელიც იწვევს დაღლას. დაღლა მისივე ლექსიკონით არის „ქმნის მოჭირყება“, მოჭირვება კი „უაღრესი მოთმენა“. ამგვარად, სულხან-საბას აზრით, შრომა არის ადამიანის ენერგიის ხარჯვა უაღრესი მოთმინებით დაპირობებული. სულხანი გვაძლევს ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შრომის მეტად მძიმე და აუტანელი პირობების შესანიშნავ დახასიათებას. იგი წერს: „იხილე, მომკალნი ყანათანი ვითარ მოითმენენ სიცხესა მზესათა და სიგრძეთა დღესათა, მუშაობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა, შერებიან, ბოროტსა ჰაერსა, არა რიდებიან, რამეთუ მაშინ არს გისლოვნება ბოროტი გველთა და მკბენარობა ღრიანკალთა; არამედ არაგენეკრძალებიან და არცა წამისა განსვენებისა მისცემენ თავთა თვისთა, რამეთუ იციან, უკეთუ მას ჟამსა არა შეუკრება იფქლი თავთა თვისთა, ვერღარა გამოიზრდებიან წელიწადის სიგრძესა მისსა“.

აქედან გამომდინარეობს, რომ სულხანის აზრით, შრომა არის არა უბრალოდ ენერგიის ხარჯვა, არამედ ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება. ადამიანმა იცის, რას აკეთებს და რატომ აკეთებს. ამიტომ, სულხანის აზრით, ადამიანის მიერ ენერგიის უმიზნოდ ხარჯვა შრომად არ ჩაითვლება. თუ ნივთი უსარგებლოა, მასზე დახარჯული შრომაც უსარგებლოა. თუ ადამიანის ენერგიის ხარჯვას თუნდაც ის მიწის თხრაში გამოიყენებოდეს, სარგებლობა არ მოაქვს ადამიან-

---

[1] სწავლანი, გვ. 36.

[2] სიბრძნე სიცრუისა, გვ. 132.

ისოვის, შრომად არ ჩაითვლება. ამას გადმოგვცემს სულხანის ერთ-ერთი არაკი „მოცლილი კაცი“. „იყო ერთი მოცლილი, უსაქმო კაცი. არას ნივთისაგან საქმარი არა იცოდა რა. შემოუვიდა გულშიგან და იწყო მიწის თხრა და ნიავება. სამს-ოთხს თვეს მის მეტი არცრა საქმე ჰქონდა და არცრას ისაქმებდა“.[1]

იგავიდან ჩანს, რომ მის უმიზნო, საზოგადოებისათვის უსარგებლო ძალთა ხარჯვას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სულხანის მეორე შრომაში ნათქვამია: „ვითარცა კუდად შერებიან მუშაკნი დათესვად მარილისა, რათა მწყურნებასა აღგილთა აღმოეცნოს მარილი და განმრავლდეს“.[2]

სულხანმა ამასთანავე იცის, რომ შრომა მხოლოდ ერთ-ერთი წყაროა ნივთიერი სიმდიდრისა და რომ მის საწარმოებლად ადამიანი მუდამ ბუნების ძალებს ეყრდნობა. უილიამ პეტი ამბობდა, რომ შრომა სიმდიდრის მამა და მიწა – დედა. მიწათმოქმედება'ში წარმოების მთავარი საშუალებაა მიწა, ყველა პროდუქტი, რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მიღებულია მიწიდან. სულხანი წერს: „ოდეს ვინმე სამოსელი ახალი და კეთილი გემოსით, ერიდებით მტვერთა და თიხათა, რათა არა მოეკრას, და თუ სადმე მიეკრა, იწყებთ სრუნვასა და ნაღვეწსასა და დაგიმძიმდებათ დიდად და ამას არა ხედავთ, რამეთუ სამოსელიცა იგი და ყოველივე, ოქრო და ოქროქსოვილი და ჭირნახული, რომელ არს აბრეშუმი სრულიად მიწათაგან არს და მიწა მიწას მოეცხო“.[3]

სულხანმა იცის, რომ შრომა წარმოადგენს ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებას ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელი დოვლათის შესაქმნელად.

სულხანს ესმის, რომ ბუნების მიერ მოწოდებული დოვლათი სრულქმნილად ვერ აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნილებებს. ამიტომ ის იძულებულია მასზე სეგავლენა მოახდინოს, ბუნების მიერ მოცემული დოვლათი გარდაქმნას, რაც შრომასთან ერთად მოითხოვს შრომის საშუალებებს, მათ შორის წარმოების იარაღებს. ის ამბობს, რომ ზეთისხილი დამწიფებისას რომც არ მოეკრიფოთ, მაინც ჩამოცვივდება, მაგრამ ზეთს მისგან ვერ მივიღებთ შრომისა და წარმოების იარაღების გარეშე. „ზეთისხილი თუმცა არა მოჰკრიფო

---

[1] სიბრძნე სიცრუისა, გვ. 111.
[2] სწავლანი, გვ. 179.
[3] სწავლანი, გვ. 264-265.

ჟამიერსა დროს, ოდეს დამწიფდეს, თვით ჩამოცვივნების, არამედ სეთი თუმცა ჭახრაკითა არა მოუჭირნე, ანუ დიდითა შრომითა არა გამოხადნე, არა გამოხდების".[1]

ამგვარად, სულხანის აზრით, ბუნების გარდასაქმნელად ადამიანს დიდ შრომასთან ერთად სჭირდება წარმოების იარაღებიც.

2. სიმდიდრის წყარო

სულხან-საბა ორბელიანმა თავის ნაშრომში „სიბრძნე სიცრუისა" დააყენა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა – რა არის სიმდიდრე. XVI-XVII-XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია ამ საკითხზე იცნობს ორ ძირითად მიმართულებას: მერკანტილისტურსა და ფიზიოკრატულს. მერკანტილისტების აზრით, სიმდიდრე არის ფული, მისი წყარო – საგარეო ვაჭრობა. აქედან გამომდინარეობდა მათი მოთხოვნილება ხელი შეეწყოთ საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. საგარეო ვაჭრობა ხელსაყრელია, მათი აზრით, მით, რომ ნატურალურ პროდუქტს ფულს ცელის. რაც ნაკლები ღირებულების მეტღირებულებაზე გადაცვლის შესაძლებლობად ელინდება.

ფიზიოკრატების აზრით, ნამდვილი სიმდიდრე არის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სიმდიდრის წყარო მიწათმოქმედებითი შრომაა. მათი აზრით, ვაჭრობა ახალ სიმდიდრეს არ ქმნის, ის უკვე შექმნილს ანაწილებს და გადაანაწილებს. საზოგადოებას ახალ სიმდიდრეს აწვდის მიწათმოქმედება, რომელიც ახალ ნივთიერებას გამოსტაცებს გარეშე ბუნებას ადამიანთა საარსებო საშუალებების სახით. ქვეყნის სიმდიდრე სოფლის მეურნეობის ნატურალურ პროდუქტებშია გამოსახული. ამიტომ ქვეყნის გასამდიდრებლად საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფულად გადაქცევა არც ძნელია და არც სასრგებლოა, ვინაიდან ფული სრულებითაც ვერ სჯობია საცხოვრებელ დოვლათს. ყოველგვარი ვაჭრობის ნამდვილი ობიექტი სოფლის მეურნეობის პროდუქტებია, სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი მიიღო ფული. ფიზიოკრატების აზრით, ფული ფულს ვერ წარმოშობს. ფული ყიდვა-გაყიდვის მხოლოდ შუამავალი ნიშანია, ამიტომ ქვეყანა უნდა ფიქრობდეს არა ფულზე, არამედ იმ პროდუქტების გამრავლებაზე, რომლებიც ფულის

---

[1] სწავლანი, გვ. 201.

საშუალებით იცვლება. თუ ქვეყანას სოფლის მუნრიოების პროდუქცია ჭარბად აქვს, ფულიც ბლომად ექნება.

სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ არაკში „ორი მდიდარი“ დაპირისპირებულია ორი მდიდარი კაცი: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და პურით მდიდარი. გამარჯვებული გამოდის პურით მდიდარი და მტკიცდება, რომ ნამდვილი და უფრო საქები სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქცია – პურია.

„ერთი დიდად მდიდარი კაცი იყო და ერთი სხვა კაცი იყო. მისი უცხო სიმდიდრის ხმა გასულიყო. თქვა მან, მრავლის მქონებელმან მდიდარმან: – ჩემი სალაროსა რიცხვი არ ეიცი, მეფეთაც არ აქვთ ჩემოდენი და მის კაცისა სიმდიდრე უფრო იქება ჩემგან. წავიდე და ვნახო მის უნჯი, რის უფალია? მივიდა, მას კაცს ეედრა მისი სალაროს ჩვენებისათვის. წაიყვანა მან კაცმან მდიდარი იგი, ურიცხვი ბეღლები უჩვენა ხორბლითა და ქერით სავსე და მხიარულად უთხრა: – ღმერთს ჩემთვის ესოდენი წყალობა მოუნიჭებიაო“ – მდიდარმან მასაც აგინა და, რომელიც მის დიდებას აქებდა, და ეგრე უთხრა: – რაც შენ პური გაქეს, იმდენი მარგალიტი მაქვს და სიმდიდრედ არ მიმაჩნიაო, და წავიდა. მომავალსა წელსა ესეთი სიყმილი მოვიდა, რომე პურის ხსენება არსად იყო. დაიმშა ყოველი კაცი. მან მდიდარმან მოუგზავნა კაცი პურით მდიდარსა. თვალ-მარგალიტი მოუძღვნა და პურს ევაჭრა. მან პასუხი არ გასცა. მერმე აქლემთ აჰკიდა მრავალი თვალ-მარგალიტი, რა სხვაგან სყიდვის ღონე ვერსად ექმნა. მოუძღვნა, პურს ევაჭრა და შემოუთვალა: – წინით გამომიგზავნე პურიო. – მან ფასი აგრევე შეაქცია და ესრეთ შეუთვალა: – ნუ ჰგონებ, რითაცა ფასითა მე შენ პური მოგყიდო, და თუ ცოლი გამომიგზავნო, რაოდენი გინდეს, წაიღევ! – რა ეს ესმა, კაცი იგი დიდად დაჭმუნდა და თქვა: – თუ მიეცე ცოლი, ამხანაგთ რა ეუთხრა, ანუ ვისთვისღა ეიყიდო პური: თუ არადა, პურს არ მომცემს და შვილნი დამეხოცებიანო. – ღონე გაუწყდა. შესვა ცხენს ცოლი და გაუგზავნა. რა მან კაცმან მისის ცოლის მოსელა სცნა, მიეგება, ჩამოახდინა დიდის პატივით და ეგრე უთხრა: – შენ ჩემი დედა ხარ, რადგან შენი ქმარი ესრეთ ენახე, ამპარტავნად მაგინებელი დიადამბლა, აწ რაოდენი გენებოს, წაიღევ და წადიო! – მრავალი მისცა და გაისტუმრა“.[1]

არაკში „ორი ძმანი“ ძმები ერთმანეთის გამდიდრებას სცდილობდნენ მით, რომ თითოეული თავის ორმოდან პურს იღებს და მალეით მეორე ძმის ორმოში ყრის.[2]

---

[1] სიბრძნე სიცრუისა, გვ. 71-72.

[2] იქვე, გვ. 49-50.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ სულხანის არაკების დიდი ნაწილი აგებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობისა და ამ პროდუქციის წარმოებისა და განაწილების მასალაზე. ასე მაგალითად, „უბედური ვაჭარი“, „თივაზე მოცილენი“, „მოლა და ღორი“, „სპარსი და ინდო“, სადაც ლაპარაკია ხორბლის, ქერის, ბრინჯის, ხახვის, ნივრის, თივისა და სხვ. მოყვანის, გაყოფის თუ ვაჭრობის შესახებ.

მერკანტილისტებისაგან განსხვავებით სულხანი სიმდიდრის წყაროს ეძებს არა ვაჭრობაში, არამედ სოფლის მეურნეობაში. სიმდიდრის წყაროდ ცნობს მიწათმოქმედებით შრომას. ეს არის დიდი ნაბიჯი წინ, რამდენადაც სიმდიდრის შექმნის ნამდვილ წყაროდ აღიარებულია წარმოების სფერო — მიწათმოქმედება და არა მიმოქცევის სფერო — ვაჭრობა. როგორც ცნობილია, ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) მეცნიერულ საფუძველზე დადგა მას შემდეგ, რაც ფიზიოკრატებმა სიმდიდრის შექმნის წყაროდ აღიარეს წარმოება, სოფლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობის დახასიათებაში სულხანს აღნიშნული აქვს ბუნებრივი ფაქტორების როლი, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის ზრდას. ამ მხრივ აღსანიშანეია მიწის ხარისხი, მისი ნაყოფიერება. თავის ლექსიკონში მას მოცემული აქვს შემდეგი ტერმინები:

„ფარან“, რომელიც განმარტებულია როგორც „ნაყოფიერი (პოხიერი, ნოყიერი)“, „შაემიწა“ — პოხიერი ქვეყანა და „ევფრათა“ — საერთოდ ნაყოფიერება. იგი ამასთანავე ყურადღებას აქცევს სეზონურობის მომენტს, როგორც დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანს სოფლის მეურნეობისათვის. აქ ყველა სამუშაო ოპერაცია თუ თავის დროზე არ იქნა ჩატარებული, მაშინ ის თავის დანიშნულებას კარგავს. „ვითარცა ჯეჯილი ახალი აღორძინდებოდეს ჯერ არს მას ჟამსა კაცმან ვინმე პოოს მდელო ანუ შამბი და გამარგლოს; ხოლო უკეთუ მაშინ განიწმინდა, შეიშობის ეკალთა მიერ. და, უკეთუ კვალად თავ-ასხმისა ჟამთა არა განიმარგლოს არღარა არს ჟამი გამარგლისა მკისა ჟამსა, რამეთუ ეკალნი და ყანანი მის მიერ შეშნობილნი ერთბაშად მოიმკებიან“. „უკეთუ ჟეჯილი პირველ აღმოფხვრას, ანუ ყანათავწარსმული მოჭამა წველმან და ჩალამან, რაღა ქმნან ნაყოფი კეთილი?“

სულხანის აზრით, სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ოპერაციების თავის დროულად ჩატარებას. მაგრამ არსებითი მაინც ის არის, რომ სოფლის მეურნეობაში მთავარია შრომა, რომლის საშუალებითაც ხდება ბუნების საგნების გარდაქმნა ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ერის კაცის საქმეა, წერს

სულხანი: „ხვნა-თესვა, მკა, ბარვა, შრომა“. შრომა აქტიურ ზეგავლენას ახდენს ბუნებაზე, სოფლის მეურნეობის შრომა სიმდიდრის წყაროა.

საქართველოს იმდროინდელ მიწათმოქმედებაში შრომა სულხანს განხილული აქვს როგორც საქონლის მწარმოებელი შრომა. ურთიერთობაში არიან ჩაბმული ის გლეხები, რომელნიც მოსავლით საკუთარ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებენ და ის გლეხებიც, რომელთაც ნაჭარბი აქვთ. იგი წერს: „ქვეყნისა მოქმედი შვრებიან ოფლითა პირისა მათისათა და შემდგომად ნამუშაკევთა აღრიცხვენ და რაოდენი წლითიწლად ეკმარების მას, თვით დამარხვენ და, უკეთუ ნაკლებ არს, მოიყადიან და, უკეთუ ნამეტნავი, განიყიდიან“.

ამავე საბაზრო ურთიერთობის, საქონლის მწარმოებელი შრომის შესახებ ლაპარაკობს სულხანის იგავი „გლახაკი და ქილა ერბო“. იგავის გმირი ოცნებობს გამდიდრებაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით და მათი გაყიდვით და ყიდვით. ერთმა გლახაკმა იპოვა ქილა ერბო და იფიქრა: „აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი, მით თორმეტ სამამლე წიწილას ვიყიდი, მოვიყვან, დავსრდი, დავეკერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საქშე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბოებს ვიყიდი, ხარებს დავსრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები“.[1]

როგორც ვხედავთ, აქ გამდიდრების საშუალებად დასახელებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საბაზრო ურთიერთობაში. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ სიმდიდრის წყაროდ მიჩნეულია არა ვაჭრობა თავისთავად, არამედ შრომა, პროდუქციის წარმოება, ვაჭრობა კი გამოყვანილია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საშუალებად. სიმდიდრის ზრდა, მატება ხდება არა სავაჭრო მოგების ანგარიშით, ე.ი. რომ ერთი და იმავე საქონელს ყიდულობს უფრო იაფად და მერე ყიდის უფრო ძვირად, არამედ წარმოების, შრომის მიმატების ანგარიშით. ყოველი მომდევნო ყიდვისა და გაყიდვის შედეგად პროდუქცია წარმოებას უბრუნდება, შრომა ემატება და მისი ღირებულება იზრდება. ამ ღირებულების ზრდა ხდება არა მიმოქცევის სფეროში, არამედ წარმოების სფეროში. ერთი ქილა ერბოს ყიდის ნახევარ მარჩილად და მით ყიდულობს თორმეტ სამამლე წიწილს. ამგვარად, ერთი ქილა ერბო ეკვივალენტურია თორმეტი სამამლე წიწილის. მაგრამ თორმეტი სამამლე წიწილი არ არის

[1] სიბრძნე სიცრუისა, გვ. 124

ეკვივალენტური საეშვე გოჭების. ასე რომ ყოფილიყო, ერთი ქილა ერბოთი, ე.ი. ნახევარ მარჩილით, პირდაპირ იყიდდა საეშვე გოჭებს. ასეთი რამ იმდენად დაშორებულია სინამდვილეს, რომ ის საოცნებოდაც დაუშვებელია. ან კიდევ მეტი, იყიდდა სახარე ხბორებს. თორმეტი სამამლე წიწილი წარმოებას უნდა დაუბრუნდეს, ახალი შრომა მიემატოს — გაისარდოს, გასუქდეს და მერე გახდება საეშვე გოჭების ექვივალენტი. იგიცე ითქმის საეშვე გოჭების სახარე ხბორების ყიდვის შესახებ. სახარე ხბორებს ისევ ახალი შრომა ემატება, ისინი ხარებად იქცევიან და წარმოების საშუალება ხდებიან სოფლის მეურნეობაში. ამის შემდეგ წარმოების საშუალებებს კვლავად ახალი შრომა უნდა დაემატოს — მოხნას, მოთესოს და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმ კაცის ოცნება განხორციელდეს, იგი აშენდეს, გამდიდრდეს.

ამგვარად, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, სიმდიდრის წყარო არის მიწათმოქმედებითი შრომა, სოფლისმეურნეობრივი შრომა, სიმდიდრე წარმოებაში იქმნება, პროდუქტი უკვე გაზრდილია ღირებულება'ში, სანამ იგი მიმოქცევაში გადავიდოდეს. როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება სიმდიდრესა და მისი წყაროს საკითხში ახლოს დგას ფიზიოკრატების შეხედულებასთან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შეუძლებელია ვილაპარაკოთ სულხან-საბა ორბელიანზე როგორც ფიზიოკრატზე. ფიზიოკრატიული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში მე-18 საუკუნის 50-იან წლებ'ში, ე.ი. 25 წლის შემდეგ სულხანის გარდაცვალებიდან. ფიზიოკრატიული შეხედულება ემყარება მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური მეურმეობის არსებობას. წმინდა პროდუქტს ქმნის დაქირავებული სოფლის მუშა მიწათმოქმედებაში. ფუზიოკრატების დროინდელი საფრანგეთის სოფლის მეურნეობა თავისთავად ჩამორჩენილი იყო და ფეოდალური სისტემის მზარდი კრიზისის პირობებში არსებობდა. სულხანის დროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენება საფრანგეთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იდგა. ყოველივე ამის გამო, არ შეიძლება სრული მზგავსება იყოს სულხანსა და ფიზიოკრატებს შორის. თუ გარკვეულ მომენტებში მზგავსება არსებობს, სულხანს არ შეეძლო იგი ფიზიოკრატებისაგან წამოეღო ისე, როგორც ფიზიოკრატებს სულხანისაგან.

აქ შესაძლებელია აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ ნ. მაკიაველმა ფიზიოკრატებამდე ბევრად ადრე მიაქცია ყურადღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელობას. მაკიაველი სიმდიდრეს თელის ფულს, მაგრამ თავის შრომაში მეფეს ურჩევს შეინახოს სურსათ-სანოვაგის მარაგი, ვინაიდან ფულით ყოველთვის არ შეი-

ძლება მისი ყიდვა. ძნელად საფიქრებელია, რომ მაკიაველის შრომა ხელმისაწყდომი იყოს სულხანისათვის, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაკიაველს და ორბელიანს შორის დიდი განსხვავებაა ამ საკითხში. მაკიაველი სიმდიდრედ თვლის ფულს და არა სოფლის მეურნეობის პროდუქციას. არ მიაჩნია შესაძლებლად ყოველთვის ადვილად შეიძინო ფულით სურსათ-სანოვაგე. მაკიაველს და ორბელიანს შორის მთავარ განსხვავებაზე მიგვითითებს სიმდიდრის წყაროს საკითხი. მაკიაველს, როგორც მერკანტილისტს, სიმდიდრის წყაროდ ვაჭრობა მიაჩნია, სულხან-საბა ორბელიანს კი სოფლის მეურნეობრივი შრომა.

შემდეგ საყურადღებოა, რომ სულხანის შეხედულება დიდად განსხვავებულია ფიზიოკრატულისაგან, მით უმეტეს მაკიაველისადმი. სულხანი სოფლის მეურნეობის პროდუქციას არ თვლის ყველა შემთხვევაში ადვილად გასასაღებელ ობიექტად, როგორც ფიქრობდნენ ფიზიოკრატები, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი მისი ფულად გარდაქცევა. მაკიაველი კი ყურადღებას ამახვილებს, რომ ყოველთვის ადვილი არ არის ფულის სურსათ-სანოვაგედ გადაქცევა. სულხანის აზრით სოფლის მეურნეობის პროდუქცია სიმდიდრის ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენს. ეს აზრია გატარებული არაკში „უბედური ვაჭარი“. დიდი მოსავლის გამო ვაჭარმა ვერ გაასაღა პური, დაულპა და გაკოტრდა. ერთმა დიდვაჭარმა„ გასცა ყოველი თვისი მონაგები და პური იყიდა: — მომავალსა წელსა უკეთ დამცირდეს, ერთსა 3-4-ად გავყიდიო. — მომავალსა წელსა უმრავლესი მოვიდა კელავად იყიდა იაფად, გონებდა, სხვა წელს გავყიდი უკეთაო. ყოველთა წელთა უმრავლესი და უმრავლესი მოვიდა დაულპა ყოველი პური მისი და განქარდა ყოველი მონაგები მისი.

იგივე აზრია მეორე არაკში „სპარსი და ინდო“, სადაც მოთხრობილია რომ ვაჭრებმა „სულ ნიორი და ხახვი იყიდეს. ფუნდუკები იქირავეს და იქ დააზვინეს. ინდომ უთხრა: სამთვეს უკან დაძვირდების და ერთი ათად შეგვექნების. — გამოხდა სამი თვე, სრულებით დალპა ამათი საქაჭრო“.

სულხანი არც მერკანტილისტია, რომ საგარეო ვაჭრობა მიაჩნდეს სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ. მის აზრით, სიმდიდრის დაგროვებაში ვაჭრობას შეუძლია ითამაშოს გარკვეული როლი და განსაღერულ ეკონომიკურ ვითარებაში საზოგადოებრივი განვითარებისადმი ხელშემწყობი იყოს.

გარდა მიწათმოქმედებითი შრომისა (აქ იგი ფიზიოკრატებზე შორს მიდის) სულხანისათვის ცნობილია რეწვით საქმიანობაში გამოყენებული შრომა. თავის ლექსიკონში მოცემული აქვს ტერმინი „რეწვა“, რომელიც განმარტებულია, როგორც „მუშაკობით მოშოვე-

ბა“. ამგვარად, რეწა წარმოების გარკვეული დარიგა, რომელიც შრომის საშუალებით აწარმოებს დოვლათს. სულხანისათვის ცნობილია მიწათმოქმედებისაგანა გამოყოფილი ორი დარგი: ხელოსნობა და შინამრეწველობა. ხელოსნობის განმარტება სულხანს არ მოუცია. ის რაც მოგვცა, არის მეტად ზოგადი, მის ლექსიკონში წერია: „ხელობა მოსაქმობაა რამ“. მაგრამ მისი საერთო დახასიათებიდან ჩანს, რომ ის არის წარმოების დარგი, რომელიც მომხმარებელთა შეკვეთით საქმიანობს. სულხანისათვის ცნობილია ხელოსნობის მრავალი სახე: კალატოზი (კედლის მდგმელი), ხურო, ფეიქარი (ლარისმქსოველი), მჭედელი, ოქრომჭედელი, დალაქი (ვარსამი, თავისმპარსავი), ხარა'ხი, მკერავალი და ყოველნი ესე ვითარნი.

სულხანისათვის ცნობილია აგრეთვე რეწვის ის დარგი, რომელსაც მოპოვებითი მრეწველობა ეწოდება. მის ლექსიკონში ეხვდებით ტერმინს „მწიაღებელი“, იგი განმარტებულია, როგორც „წიაღთა აღმქმნელი“. ამასვე ადასტურებს ორბელიანის ერთ-ერთი იგავი „მეფე და მჭედელი“. მასში გამოყვანილია მეფე, რომელიც საჭთო წარმოებას ეშურება, იგი იმის ცდაში იყო, რომ თავის სამეფოში ოქროს ქანი ეპოვა და ან ქიმიის მცოდნე ოსტატი ეპოვნა“. იმავე იგავიდან ჩანს აგრეთვე, რომ სამეფოში ცხოვრობს ერთი მჭედელი, რომელიც ოქროს ქვას იპოვის და გამდიდრდება. მაგრამ მდიდრდება არა უბრალოდ პოვნით, არამედ შრომით. ის ოქროს და რკინას ამუშავებს და მრავალ ქონებას იძენს.

სულხანის აზრით, ხელოსნური წარმოებისა და მოპოვებითი მრეწველობის შრომაც ქმნის სიმდიდრეს.

სულხან-საბა ორბელიანი თავის შრომებში ეხება მრეწველობაში კაპიტალიზმის პირველ საფეხურს შინამრეწველობის სახით, რომელიც, როგორც ცნობილია, საქონლურ-ფულადი მეურნეობის პირობებში საქონელს ამზადებს საბაზროდ. სულხანს თავის შრომებში საქართველოს მაგალითზე აღწერილი აქვს საფეიქრო შინამრეწველობა, სადაც შრომა დანაწილებული იყო.

როგორც ეხედავთ, იმხანად საქართველოში შინამრეწველობას ეწევიან სარგებლის გასამრავლებლად, მოსაგებლის მოსაგებად. ამგვარად, ორბელიანისათვის ცნობილია, რომ რეწვის ეს დარგიც ქმნის სიმდიდრეს. მაშასადამე, მისი აზრით, სიმდიდრის წყარო არის არამარტო მიწათმოქმედებითი შრომა, არამედ მრეწველობითი შრომაც. ამ აზრის ფართოდ გაშლა სულხანს არ შეეძლო, ვინაიდან მისი მოღვაწეობის დროს საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის მხოლოდ ტენდენციები აისახებოდა. ამ აზრის ღრმად შესწავლა მოითხოვდა ფართოდ განვითარებულ მანუფაქტურულ და ფაბრიკულ წარმოებას.

სულხან-საბა ორბელიანმა მოგვცა მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების მეორე სტადია, შრომის მანუფაქტურული დანაწილებისა და აგრეთვე მანქანების გამოყენების აღწერილობაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, მოცემულ შემთხვევაში იტალიის მაგალითზე.[1] სულხანი წერს: „საქმობდნენ იქ მატყლსა და სელსა და კანაფს სჩეჩდნენ. სამ-ოთხ რიგად აწმიდებდნენ, ასწყვდნენ, სელავდნენ, ქსოვდნენ, სთელავდნენ და ღებავდნენ კაი შალებს, სკლატებსა და მისთანათ. ჭედლები, მეწურე, მემაშიე, ფეიქრები და ყოველი მოხელე ხურო ესენი იყვნენ... იქ ვნახე საიას რომ სჯანდრევდნენ. ორ ქვა ერთმანეთზე მობმული სამი მხარის სიგრძე, სამი მტკაველი განი და ოთხგანივე სამასი. მტკაველი, ნახე რა იქნება. ორი ბიჭი გაურჯელად ხან წინ წასწევდა, ხან უკან და იმით სჯანდრავდნენ. იქ ვნახე რკინის საფეიქროსავით გამართული, პაიჭებს ქსოვდნენ წინდურსა. თვითო კაცი დღეში ერთ წყვილს მოქსოვდა. საკვირველება იყო. წინდის ჩხირით რომ შეიქმოდეს, ისე ქსოვდნენ. საფეიქრო იმგვარად იყო, თუ არ ნახავს კაცი, არ მიიხდომება“.[2]

ამავე საკითხს ეხება სულხანის მეორე აწერილობა, რაც მალთაში ნანახს გადმოგვცემს.

„წაგვიყვანეს სადაც თოფის წამალს ნაყვენ. დიდი სახლი იყო. სად გვარჯილას ადუღებდენ, სად გოგირდსა და გვარჯილას ნაყდენ. დიდი ორი გელაზი იყო კოხისა, 12 როდინი იყო სინისა და როდინის სანაყელი ხისა. ერთის ჯორით ჭახრაკს აბრუნებდნენ. 12 ადგილს წამალი ინაყებოდა. ერთს დღეს 5 ყანთარი დაინაყებოდა. თვითო ყანთარი 30 სტამბოლის ბათმანი იქნებოდა. თვითო ბათმანი 48 თუხტი რომ 5 ცხენის საპალნე უფრო მოვა. ერთს სხვას ახალს აკეთებდნენ: როდინს ხისასა და როდინს ქვასინისასა. ასე თქვეს: „ეს ორს იმდენს დანაყსო და ჩემობას მზა არ იყო“.[3]

როგორც ვხედავთ, ფიზიოკრატული შეხედულებისაგან განსხვავებით, სულხანი არა მარტო სოფლის მეურნეობრივ შრომას, არამედ საერთოდ შრომას თვლის სიმდიდრის წყაროდ. მაგრამ ეს აზრი, რასაკვირველია, სულხანის მიერ ძალიან სუსტად და მკრთალად არი მოცემული. საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკური განვითარების დონე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ეს აზრი, როგორც ცნობილია, მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში დაასაბუთა ინ-

---

[1] ს.საბა ორბელიანის, მოგზაურობა ევროპაში.

[2] სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 56-57.

[3] იქვე, გვ.130-131

გლისურმა ბურჟუაზიულმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ — სმიტისა და რიკარდოს სახით მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

სულხანს დიდი დამსახურებად და პროგრესულ აზრად ჩაეთვლება თუნდაც მხოლოდ იმის შეცნობა, რომ სიმდიდრის წყარო სოფლის მეურნეობრივი შრომაა. შემდგომი თაობა ფიზიოკრატებს ისეთ დიდ დამსახურებად უთვლის, რომ მათ ცნობს მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლებად, ვინაიდან ამით აღიარებულ იქნა, რომ სიმდიდრე იქმნება წარმოებაში და არა მიმოქცევაში.

3. მოთხოვნა, მოწოდება და განაწილება ფასის მიხედვით

წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ გვაჩვენებს საქართველოში საკმაოდ მაღლად განვითარებულ საქონლური მეურნეობის არსებობას, ქალაქისა და სოფლის ეკონომიკურ ურთიერთობას. მასში ნაჩვენებია საზოგადოებრივი შრომის დანაწილება, რომლის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყიდება ქალაქად და იქ წარმოებს მრეწველობის პროდუქტების შეძენა სოფლელების მიერ. აქვე აღსანიშნავია ქალაქური განვითარების მაღალი დონე. შუა საუკუნეებში სოფლები ბატონობდნენ პოლიტკურად ქალაქებზე. განვითარების შემდგომ საფეხურზე ქალაქებმა იწყეს სოფლების ეკონომიკური ჩაგერა. ქალაქები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ სოფელთა საექსპლუატაციოდ. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს ქალაქელი ვაჭრების ორგანიზაციული ხრიკები სოფლელი გამყიდველების წინააღმდეგ. ქალაქის ადმინისტრაცია და მოსამართლენიც ქალაქელი ვაჭრების მხარესეა. ყველა ამის შედეგად მეტად დაბალ ფასს აძლევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებში.

„ერთი ქოსა იყო ერთსა სოფელსა შინა. დიახ გლახაკი და ერთი უსხი ჰყვა მსუქანი, უთხრა ცოლსა: — ამას გაეყიდი ეგების შენთვის და ჩემთვის სამოსელი ვიყიდო. — წაიყვანა უსხი ქალაქად“. ქალაქელი ვაჭრები ახერხებენ მერვედ ფასად წაართვან უსხი.

ყიდვა-გაყიდვის, აღებ-მიცემობის მაგალითები მრავლად არის გამოყენებული სულხან-საბას არაკებში.

ამგვარად, სულხან-საბა იცნობს საქონელს და საქონლურ მეურნეობას, მაგრამ ტერმინი „საქონელი“ არ შეიძლება მას გაგებული ჰქონოდა, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის ელემენტარული ფორმა. მოცემული საკითხის ნამდვილი გადაჭრა შესაძლებელი გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული

კაპიტალისტური წარმოების მეცნიერული შემეცნების საფუძველზე. სულხან-საბას განმარტებებში მოიპოვება საქონლის ბუნების ზოგიერთი თვისების გაგების ელემენტები, რომლებიც გაპირობებული არიან ფეოდალიზმის დაშლის პერიოდით.

სულხან-საბს თავის ლექსიკონში „საქონელი“ განმარტებული აქვს, როგორც „უსულო ხვასტაგი“, სულიერი ხვასტაგი, როგორც საყოლელი (ის, რაც შეიძლება ჰყავდეს ადამიანს) და უსულო ჰხვასტაგი როგორც საქონელი (ის რაც შეიძლება ჰქონდეს). მისი აზრით, საქონელი არის ქონების გარკვეული ელემენტი. „უნჯი“ და განძიც არის საქონელი. მის ლექსიკონში ტერმინით „საქონელი“ არის განმარტებული „უნჯი“ და საუნჯე – როგორც შესაკრებელი საქონლისა. განძი განმარტებულია, როგორც უნჯი, უნჯი როგორც საქონელი.

საქონელი არის მატერიალური და არამატერიალური, რამდენად ქონებას შეიცავს არა მარტო მატერიალურ ნივთებს, არამედ არამატერიალურსაც: სიბრძნის სწავლასა და სხვ. სულხან-საბას ლექსიკონი გვაძლევს შემდეგ განმარტებას: „ქონება, უსულო საქონელი ანუ სიბრძნე, სწავლა და მისთანანი“, ქონება შედგება ნივთებისაგან. „ნივთი“ მისი ლექსიკონის მიხედვით „არს ყოველივე სახმარი“. ამდენად, ეს განმარტებანი განსაზღვრავენ საქონელს, როგორც სახმარ ღირებულებას.

ლექსიკონის მიხედვით საქონლის ცნება შემოსაზღუდულია მხოლოდ უსულო ხვასტაგით; სულიერი ხვასტაგი, „პირუტყვი“, განმარტებულია, როგორც საყოლელი და არა საქონელი, მაგრამ სულხანის დროინდელი ქართული ენა პირუტყვსაც უწოდებდა საქონელს, რაც აღსანიშნავია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში.

სულხან-საბასათვის ცნობილია საქონლის საცვლელი ღირებულება, ყოველ შემთხვევაში მისი ელემენტები. მისი განმარტებით, „საფასე“ არის „საქონელი“, „ფასი – სასყიდელი“. - „ფასი, გინა სავაჭრო“. ამგვარად, საქონელი არის „ნაფასები, ფასდადებული“, ე.ი. ბაზარზე გატანილი გასაყიდად, სხვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სულხანს „საქონელი“ არ აქვს განმარტებული, როგორც საფასე, ე.ი. ყოველი საფასე საქონელია, მაგრამ ყოველი საქონელი არ არის საფასე. მაშასადამე, საქონლის ნაწილი ან მისი მფლობელის საკუთარი პროდუქტია, ან მითვისებულია არა გაცვლის არა საბაზრო ურთიერთობის შედეგად. ამავე დროს ეს ნივთი მხოლოდ მფლობელის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ასეთი საქონელი ფასდაუდებელია, „უსასყიდლოა, დაუფასებელია“. იგი არის „მედადი“, ე.ი. „უფასო, ფასმიუცემელი“.

საცვლელი ღირებულება აქვას ფასდადებულ საქონელს. „ღირე-

ბა“ სულხანს განმარტებული აქვს, როგორც „ფასის დადება“. საბა-სროდ წარმოება ანუ ფასის დადება, ფულადი ფორმით გამოხატავს საქონლის ღირებულებას. ერთ-ერთი იგავის გმირი ამბობს: „ახლა ვიყიდე და ვით ღირსო?“.

გაცვლა მოითხოვს ექვივალენტობის პრინციპის დაცვას. ვინაიდან სხვადასხვა საქონელი სხვადასხვა საცვლელი ღირებულებისაა, ამიტომ საჭიროა გასაცვლელ ნივთთა გათანაბრება ანუ სართი. „სართი“ სულხანის ლექსიკონის განმარტებით არის „საცვალზე დანამატი“ სულხანს ესმის, რომ სხვადასხვა საქონელი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასად იყიდება: ფასი ხან მაღალია, ხან დაბალი. ლექსიკონში შეტანილი აქვს ტერმინები „სიიაფე“ და „სიძვირე“. ფასების ეს რყევადობა ახსნილია მიწოდება – მოთხოვნით, როგორც ამას ადასტურებს მისი არაკები „უბედური ვაჭარი“, „სპარსი და ინდო“ და სხვა.

„ფასი სულხანის დროს ნიშნავდა ფულსაც „ფასის გადახდა“ – ფულის გადახდას. მის ლექსიკონში ვკითხულობთ „ფასისი – საცავი, თეთრის შესაკრებელი“. „თეთრი“ იმ ხანად ნიშნავდა ფულს. ამგვარად, „ფასისი“ – ფულის შესაკრებელი ე.ი. „ფასი“ ხმარებულია ფულის მნიშვნელობით ეს დასტურდება ვახტანგ მე-VI-ს სამართლის წიგნითაც „...შენი ფასი წაიღე და ჩემი პირუტყვი მომგვარე“, შენ მიერ გადახდილი ფული წაიღე, პირუტყვი დამიბრუნე. „სიბრძნე სიცრუე“შიც“ მრავალია ასეთი ადგილი: „შეშა და ნივთები მოვამზადო, ფასი ჩემი მივცე...“

სულხან-საბა ორბელიანი არ იზიარებს სამართლიანი ფასის მოძღვრებას, რომელსაც ავითარებდნენ თომა აქვინელი, შუა საუკუნეების ღვთისმეტყველები და კანონისტები. სულხანი უფრო თავისუფალი მეტოქეობის პრინციპის მომხრეა.

4. ფული როგორც კაპიტალი

სულხანის აზრით, გამოუყენებელი ფული სიმდიდრე არ არის. „რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის“.

გაყიდვისა და ყიდვის აქტების ერთიმეორეში შეუწყვეტელი გადასვლა მოითხოვს ფულის შეუჩერებელ ტრიალს, რაც ეწინააღმდეგება მეტამორფოზთა მწკრივის შეწყვეტას, როდესაც გაყიდვა აღარ ივსება მომდევნო ყიდვით, იქმნება მისწრაფება შენარჩუნებულ იქნეს საქონლის გარდაქმნილი სახე.

სულხანი წინააღმდეგია საქონლის მეტამორფოზის, ფულის მიწაში დამარხვისა და მოითხოვს ფულის არა გაჩერებას, არამედ კეთილად გამოყენებას.

არაკში „ძუნწი და ოქრო“ მოთხრობილია, რომ ერთმა კაცმა დიდძალი ოქრო დაფლა მიწაში. ვიღაცამ ეს შენიშნა, ღამით ოქრო ამოთხარა და მის ნაცვლად ლოდი დამარხა. როდესაც ერთ-ერთი შემოწმებისას პატრონმა იქ ოქრო ვეღარ ჰპოვა, ტირილი მორთო. მომპარავის შეკითხვაზე, რად სტირიო, მან უპასუხა: „ოქრო დაეფალ, დახარჯვა არ მენება, გი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო. უთხრა მან კაცმან:

— ვაი შენდა! რად სტირი? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვა, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო“.

ჯუმბერი მამას უებნება: „მეფეო, სალაროსცა ეგრეა, რაც უნდა იდვას, თუცა არ იხმარებ, კეთილად ანუ არ დახარჯავო“.

ამგვარად სულხან-საბა ორბელიანი მოითხოვს ფული უქმად არ იდვას, იქნეს გამოყენებული, მოხმარებული. მაგრამ ვინაიდან ფულის გამოყენება ბევრნაირად შეიძლება, ამიტომ ის მოითხოვს კეთილად, კარგად მოხმარებას. კეთილად და კარგად ხმარებაში სულხანი გულისმობს ფულის მეურნეობრივად ხმარებს, ფულის მეურნეობრივი დანიშნულებით გამოყენებას და არა უთავბოლო დახარჯვას, გაფლანგვას. ამას გვიმტკიცებს არაკი — „დიდვაჭარი და მემთვრალე მემკვიდრე“.

დიდმა ვაჭარმა სიკვდილის წინ შვილს ასწავლა ყაირათიანი ხარჯვა. მონას კი საიდუმლოდ მიაბარა 300 ლიტრა ტყვია და უთხრა, რომ არ გაემხილა მისი შვილისათვის და ძალიან რომ გაუჭირდებოდა, მერე მიეცა. მამის სიკვდილის შემდეგ შვილმა მამის მთელი მონაგები დახარჯა, გაფლანგა ქეიფში, ძალიან რომ გაუჭირდა, ცოლის სამკაულები გაყიდა და შეიქმნა გლახაკი. მაშინ მისცა მონამ მამამისისგან მიბარებული ტყვია და უთხრა: „... შენი ქონება ღმერთმა მოგახმაროს! — მერე კარგად მოიხმარა. ისევ დიდებული ვაჭარი შეიქმნა, რა აღებ-მიცემა შეიტყო“. აქედან ჩანს, რომ სულხანი არ თანაუგრძნობს ქარაფშუტა მოქეიფე და მფლანგავ მებატონეებს, არ თანაუგრძნობს თავად-აზნაურულ ხელგაშლილ, დარდიმანდულ ხარჯვას, ფულის ამგვარ ხმარებას და მას, ებრძვის კიდეც.

აქ სულხან-საბა ორბელიანი გამოდის, როგორც მერკანტილისტი, რომელიც ებრძვის მფლანგველობასა და ფუფუნებას. ცნობილი მერკანტილისტის მენის აზრით, მემამულემ ბევრი უნდა გაყიდოს და ცოტა უნდა იყიდოს. ბურჟუაზია დიდად აღშფოთებული იყო თავის დროზე თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და სამეფო კარის მფლანგველობით. ფუფუნების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრე-

ბით ეწეოდნენ XVIII საუკუნის საფრანგეთში ფრანგი ფილოსოფოსი მატერიალისტები ჰელვეციი (1715-1774) და ლა დიდრო (1713-1784), რომლებიც გამოხატავდნენ საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის შეხედულებებს. ინგლისში ფუფუნების წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა პურიტანიზმი, რომელიც გამოხატავდა ინგლისის ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული თავადაზნაურობის შეხედულებებს. ეს მიმდინარეობა ჩამოყალიბდა ოფიციალურ ანგლიკანურ ეკლესიაში და მოითხოვდა მის გადახალისებას ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

მერკანტილისტები ფუფუნების წინააღმდეგნი იყვნენ, ვინაიდან იგი ქვეყნის აქტიურ სავაჭრო ბალანსს აზიანებდა. ისინი მოითხოვდნენ, რომ ქვეყანას გაეზიდა მეტი და შემოეზიდა ნაკლები, განსაკუთრებით უნდა შეზღუდულიყო საფუფუნო საგნების შემოზიდვა.

სულხან ორბელიანს ნაჩვენები აქვს ფეოდალური სიმდიდრის ხასიათი, რომელსაც მხოლოდ მოხმარებითი დანიშნულება ეძლეოდა: რიგ შემთხვევებში ეს სიმდიდრე ხელგაშლილად გაიცემოდა სამოყალოდ, ან მეფეთა და დიდ მებატონეთა მიერ სიკეთისა და სიუხვის გამოსახატავად. ფინეს მეფემ „დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძეობისა მისისათვის".

„იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილი, გონიერი, უხვი და მოწყალე. დღესა ერთსა გახსნა სამი სალარონი და უხმო ყოველსა საბრძანებელსა, რათა ყოველმან დიდმან და მცირემან დიდებულმან გინა გლახაკმან, ათორმეტსა ჟამსა, რაცა ეძლოს, წარიღონ. და წარიღეს ყოველთა და ვერა დაასრულეს სამნი იგი სალარონი".

ფხიზელი დამზოგველობითი ბრძოლა სიმდიდრისათვის სულხანის დროინდელ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს და ყოველ შემთხვევაში თავის სიმაღლეზე არ დგას. სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ფეოდალური კრიზისიდან გამოსავალ გზებს ეძებს, იგი თუ მთელი კატეგორიულობით არა, ფრთხილად, მაგრამ გაბედულად მხარს უჭერს სიმდიდრის მზოგველობას. მეფე მრჩევლებისაგან შენიშნენას ღებულობს ხელგაშლილობაზე: „რომელსა მეფეთაგანსა გარდაუგია ესეოდენი საჭურჭლე".

როგორც ვხედავთ, სულხანი ეწინააღმდეგება ფულის გაჩერებას და მოითხოვს მის მიზანდასახულად გამოყენებას. სხვანაირად, ეს მოთხოვნა ნიშნავს ფულის კაპიტალად გადაქცევას, ფულით ფულის მოგებას. ეს მოთხოვნა შეესაბამება ფორმულას ფ-ს-ფ. ამ ფორმულაში საქონელი წარმოეადგენს ფულის გადიდების საშუალებას, ფულით საქონელს ყიდულობენ გაყიდვის უფრო მეტი ფულის მიღების

მი'სნით. მეეახშე, კაპიტალისტისაგან განსხვავებით, ვაჭარი კაპიტალისტი სიმდიდრეს ხედავს საქონელშიაც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ჯულით ფული მოიგოს. ფული ამ შემთხვევაში წარმოდგება სიმდიდრედ, რამდენადაც იგი ყველა საქონლის გარდაქმნილ ფორმად ელინდება.

ის გარემოება, რომ სულხანი მოითხოვს ფულის არა გაჩერებას, არამედ მის მოხმარებას, გამოყენებას, დახარჯვას, არ ნიშნავს იმას, რომ მას არ ესმოდა რეზერვის ეკონომიკური მნიშვნელობა. ზემომოტანილი არაკიდან ჩანს, რომ მიბარებული სამასი ლიტრა ტყვია წარმოადგენს ერთგვარ რეზერვს გარკვეული შემოსავლისათვის. რეზერვის აუცილებლობაზე ლაპარაკობს აგრეთვე მეფისა და მისი შვილის საუბარი, საიდანაც ჩანს, რომ სულხანის აზრით, ქონება, რეზერვი აუცილებელია, არქონება არ ვარგა. მეფე ეკითხება შვილს: „მაშა შენ რომ იტყვი, სრულობით არ ვარგა ქონების შენახვაო? ჯუმბერ მოახსენა: არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია".

სულხანი ფულის მიზანდასახულად მოხმარების მომხმარეა, ე.ი. ქონების, სიმდიდრის, მეურნეობრივ გამოყენებას მოითხოვს. თუ ქონებას, საქონელს ასეთი დანიშნულება აქვს, მაშინ ისა სჯობია, რომ ის კაცს ბევრი ჰქონდეს. არაკში „დიდვაჭარი და მეთვრალე მემკვიდრე" ნათქვამია: „საქონელი ბევრი სჯობს, თუ კაცი კარგად იხმარებს, თვარა გლახაკი ავს მდიდარს სჯობს".

სულხანი მდიდრებს ორ ძირითად კატეგორიად ჰქყოფს: კარგი მდიდარი და ავი მდიდარი. სულხან-საბა ორბელიანი საქართველოს იმდროინდელ მწარმოებლურ ძალთა დონისა და სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისად მომხრეა კარგი მდიდრის, ე.ი. კაცისა, რომელსაც დიდი ქონება, ბევრი საქონელი აქვს და მწარმოებლური დანიშნულებით იყენებს. ავ მდიდრად მიაჩნია მფლანგველი, არამწარმოებლურად დამხარჯველი, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს არ ზრდის. ავ მდიდარს იგი ებრძვის, კიცხავს და „გლახაკს უქონელს" მასზე მაღლა აყენებს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულხანი ებრძვის ოქროსა და ვერცხლს, რომ ოქრო და ვერცხლი მხოლოდ ბოროტებაა. სულხანი ებრძვის ოქროსა და ვერცხლის უარყოფით მხარეებს, ებრძვის ფულის ე.წ. „უპატიოსნო ფუნქციას" – რომ ფულზე სინდისიც იყიდება, ადამიანს ცუდ საქმეებზე აქეზებს, მის მოქმედებაში უპატიოსნება შეაქვს, ფულზე სამშობლოსაც ჰყიდიან. ის მოითხოვს, რომ ადამიანი არ ემონოს ვერცხლიმოყვარებას. ოქრო და ვერცხლი თავისთავად „კეთილია" და ადამიანმა იგი კეთილად უნდა იხმაროს, ოქრო და ვერხლი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის უნდა გამოიყ-

ენოს. სამწუხაროა, რომ ადამიანმა „კეთილი“ ოქრო ბოროტად იხმარა, დაემონა ვერცხლისმოყვარებას“.

სულხანი არ არის წინააღმდეგი ვაჭრობისა და საეაჭრო მონაგებისა, თუ ის საზოგადოებრივად სასარგებლოა. იგი წინააღმდეგია „უსარგებლო მონაგებისა“, სხვანაირად საზოგადოებრივად არასასარგებლო მონაგებისა.

„სიბრძნე სიცრუეში“ დიდი ადგილი უჭირავს ვაჭრობას. მრავალი იგავი აგებულია ვაჭრობის მაგალითზე.

სულხანს ნაჩვენები აქვს ვაჭრული კაპიტალის ფუნქციონირება. მიმოქცევის სფეროს მოემსახურებიან ვაჭრები და დიდვაჭრები უსარმაზარი კაპიტალებით, არსებობს დიდებულ ვაჭართა საკრებულო და სხვა. ნაჩვენებია ვაჭართა მსოფლიო ბაზრებზე გასვლა – საფრანგეთს, ინდოეთს, ირანსა და სხვ. ნაჩვენებია ვაჭართა შორის კაპიტალების მიზედვით დიდი განსხვავებანი. არაკში „სპარსი და ინდი“ მოთხრობილია, რომ „ერთი სპარსი ვაჭარი წავიდა ინდოეთს. მივიდა ქიშმირის ქალაქად სადა დიდებულთა ვაჭართა საკრებულო იყო. მუნ შევიდა. გარდაიარა, ყოველ კაცსა ზევით დაჯდა, რიდე მოიხადა, გვერდს დაიდვა და ფერხი მუხლთა შემოიდვა. ეგრე ამპარტავნად დაჯდა, რომე მისი უდიდესი კაცი მუნ არ ყოფილიყო... ერთი კაცი გარედან უმზერდა, რომელი შინაგან შესვლასაც არ ღირსებოდა, არათუ დაჯდომილიყო. მან კაცმან რა სპარსი ეგრე მჯდომი ნახა, ერთი მოსამსახურე კაცი შეუყენა: გამოიკითხე, რაოდენი ათასის სალაროს პატრონია? რა ჰკითხეს სპარსსა, მან კეეხნით თქვა: – მე სამასი თუმნის პატრონი ვარო. რა ეს ესმა გარემდგომსა მას ინდოსა, წყენისაგან უჭკოდ დახდა, ეგრე თქვა: – მე სამასი სახლი ქარვისა მიდგან და სხვას დიდებას გარდა, რვა ვერცხლის ბალავარი ძელი კართა მიდგია, კაცთა უკუსაჯდომად, და მუნ შესვლას არა ღირს ვარ, მათ პატრონ კაცთა ლოცვა მოვახსენო და იგი უმსგავსი შესრულ არს და ყოველ კაცს ზემორე უსის როგორის უშვერის ჯდომითა“.

სულხანს ამგვარად ნაჩვენები აქვს სიმდიდრის მხრივ დიდი განსხვავებანი ვაჭართა შორის. მის სხვა არაკებში ნაჩვენებია სიმდიდრის განუზომელობა, რომ მდიდარზე მდიდარი არ დაილევა.

სულხანის შრომებში ვაჭრობის ობიექტად გამოყვანილია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტები, ძირითადად კი სოფლის მეურნეობისა. იგავის ერთ-ერთმა გმირმა „გამოულო დედას სამკაული, ოქროზე გაყიდა, დასხა ოქრომჭედლები და სულ ოქროს ხორბალი დააქნევინა. წამოვიდა ბაზარში. ყასაბს, მეპურეს, მელვინესა და მეწერილმანესა, სუეველას ხორბალი დაუწინდა: – სამ დღეს უკან ფასს მოგიტანთო. სასმელ-საჭმელიც იყიდა და ყაზან-შას გაუმსაპინძლდა,

რა დრო გადავიდა, ხორბალი აღარ დაიხნა, მოვიდნენ ვაჭარნი და ხორბალნი მიუტანეს. ფასი სთხოვეს. მან შორს დაუჭირა: – მე ფასი ვინ მომცა? ჩვენ თემს მაგას თესავთ, მოვმკით და მაგას გავყიდით".

სულხანს გარჩეული აქვს ვაჭრობის სახე: საგარეო ვაჭრობა და საშინაო ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობა დაკავშირებულია შორს მოგზაურობასთან და მრავალ ხიფათთან. „მოგზაურნი წარვლენ შორთა გზათა და ზღვათა შინა ვლენან, რათა განყიდონ სავაჭრო თვისი სარგებელით".

„ვაჭარნი იჭირვიან და შვრებიან, რათა მოინაგები თვისი გაყიდონ უმრავლესად." საშინაო ვაჭრობის ხასით, ჩვეულებრივ, დიდ ვაჭართ გვერდით სულხანს მოხსენებული ჰყავს აგრეთვე „ფერეზიკი". მისი ლექსიკონის განმარტებით იგი არს: „რომელი სავაჭროთა ატარებს შუკათა შინა და არა დასდებს სავაჭროთა დუქანთა შინა". ეს მოხეტიალე წვრილი ვაჭრები ცდილობენ საქონელი გაზიდონ ერთიორად. „ფერეზიკნი ორისა დანგისა სავაჭროთა ეცდებიან, რათა შესძინონ ოთხი".

სულხანს აღნიშნული აქვს ვაჭრობისაოვის დამახასიათებელი მომენტი, რაც იმაში გამოიხატება, რომ გაკოტრება და გამდიდრება ხშირად და ადვილად ერთმანეთს ცვლიან. „იყო ერთი კაცი ბრძენი, რომელიც ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემულიყო". შემდეგ „ივაჭრა და გამდიდრდა, რომე უდიდესი ვაჭარი აღარ ითქმოდა".

თავის ლექსიკონში სულხანს მოცემული აქვს აგრეთვე მეორე სიტყვა – „დალალი", რომელიც თავისი მნიშვნელობით უღრის ფერეზიკს – სავაჭროთა დამტარებელს. დალალის მიმართ სულხანს აღნიშნული აქვს, რომ ის ქართული სიტყვა არ არის.

ლექსიკონში მოცემულია ვაჭრობასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი. ასე მაგალითად: სავაჭრო ადგილი, სადაც ყიდვა-გაყიდვა წარმოებს – ბაზარი, „ქულბაქი" – ბაზარი, სავაჭრო, როგორც ვაჭრობის ობიექტი – საქონელი, „ხულა" – სახლი, სავაჭრო სადები, „შეევაჭრა" – ყიდვად, შეეძლია, „ცვლა" – გამოცვლა, „ძვირობა" – სასყიდლის ძვირფასობა, „ძვირფასი" – დიდსასყიდლოვანი, წაგება, „წიგნი მოგებისა" – მონასყიდობისა, „გაასაქმა" – გაყიდვასავით, „განფრიდა" – გასყიდვა, გააძვირა და სხვ. ტერმინთა ასეთი სიმდიდრე ამ დარგში მაჩვენებელია იმისა, რომ ვაჭრობა საკმარისად განვითარებული ყოფილა.

როგორც ჩანს სულხანის შრომებიდან, საქართველოში უწარმოებიათ ფასების რეგლამენტირება. ამის მაჩვენებელია ქართულ ენაში ისეთი სიტყვები, როგორიც არის „ნირი" და „განწესებული ფასი". სულხანის ლექსიკონში მოცემულია სიტყვა „ნირი", სადაც მისივე

განმარტებით არის „საჯაროს ფასის გარდაკვეთა“. „ნირი“ ყოფილა ის, რასაც ახლა ლათინური სიტყვით უწოდებენ ტაქსას. ამგვარად, „ნირი“ იყო გარდაკვეთილი ფასი, რაზე უმაღლეს ვაჭრებს უფლება არ ჰქონდა გაეყიდა საქონელი. ნირს აწესებდა სახელმწიფო ხელისუფლება. ნირს უწოდებდნენ აგრთვე განწესებულ ფასს ან მოკლედ განწესებულს. ეს ჩანს სულხანის იგავიდან „მეხილე და მწყემსი“. „ბაღდადის ქალაქსა წესი იყო, რა მეხილესთან კაცი მივიდეს, ორი ფული მისცის, რაც ენების ეგოდენი ხურმა შეჭამის. თურმე ერთი მწყემსი მიეიდა, განწესებული მისცა, დაჯდა და ნახევარ მარჩილისა ხურმა შესჭამა. მეხილემ უთხრა: – ძმაო, ბევრს ნუ სჭამ, გულს დაგწყავსო, – მწყემსმან უთხრა: – შენ ნუ იურვი, ვისსა გული დაეწვის მე ვიციო“.

ვაჭართა კლასს განწესებული ფასი, რასაკვირველია, გულს სწყავდა. ის მოითხოვდა, რომ ფასები არ გადაეკვეთათ საქონელში მიეცათ დარებული ვაჭრობა ყოფილიყო უფასური, მასსე შეწერილი სპეციალური გადასახადების გარეშე; ვაჭრობა ყოფილიყო დაცული თავდამსხმელთაგან, მდგარიყო მშვიდი ფუნდუკები, ქარვასლები, საქონელთა საწყობები. მგზავრთა სადგომები და ბაუები აღებულიყო კანონიერი. სულხან–საბა ორბელიანი ვაჭართა კლასის თვალსაზრისით სახელმწიფოს უყენებდა ამ მოთხოვნებს. იგი წერს: „მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულების მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ეეედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად ალებასა, ფუნდუკთა უშეღართა დგომასა “.

სულხანის შრომებიდან არა ჩანს, რომ ის ვაჭრობის რეგლამენტაციას, მერკანტილისტურ პოლიტიკას ეხმარებოდეს. იგი უფრო ვაჭრობის თავისუფლების პრინციპის მომხრეა. ვაჭრობის თავისუფლების მოთხოვნა, როგორც ცნობილია, ეკონომმიკური აზრის ისტორიაში გარკვეულად დააყენეს ფიზიოკრატებმა.

5. ხელფასი

სულხანის შრომები გვიჩვენებენ ადამიანებს, რომლებსაც არ გააჩნიათ წარმოების საშუალებები, ისინი ან ქირაედებიან, ან სხვისი მოწყალებით ირჩენენ თავს. „გლახაკი ვინმე იყო უპოვარი ყოვლისაგან ნივთისა“, „არა რა აქვნდათ, არც ქვეშ საგებელი, არც ყრმისა შესახვეველი“. ასეთი ადგილები სულხნის შრომებში ბევრია. ლექსიკონში გლახაკი, განმარტებულია, როგორც პიროვნება, რომლის მშობლე-

ბი უქონელნი იყვნენ. იმ პიროვნების აღსანიშნავად, რომელმაც სიმდიდრე დაკარგა, ხმარებულია სიტყვა „დავრდომილი“.

სულხანის ნაწარმოებებში მრავალგან ლაპარაკია შრომის დაქირავებაზე, მომსახურების ფულად ანაზღაურებაზე. ასე მაგალითად, ნათქვამია: „მუშა დაიჭირეს“, ან „ვინც იმიზდებს, კაცს ვეძებო. – იმათ, ყადს მოახსენეს, იქირავეს“. „მიზდი“ მისი ლექსიკონის მიხედვით არის, ასაღები რამ, სარგო, ქირა“. ქირა განმარტებულია, როგორც მიზდა, ამგარად, ზემოთ მოტანილი ტექსტი ნიშნავს – ვეძებ კაცს, რომელიც ქირით ამიყვანსო.

სულხანს თავის ლექსიკონში „გასამრჯელო“ განმარტებული აქვს, როგორც „შრომის ფასი“. მისი აზრით, შრომის ფასი ნიშნავს იმას, რაც შრომაში უნდა იქნეს გადახდილი.

ტერმინი „შრომის ფასი“ თავისთავად ლაპარაკობს შრომის დაქირავებაზე.

„სიბრძნე სიცრუეში“ სულხანს გამოყენებული აქვს ტერმინი „ხელფასი“. იქ წერია: „თითო ასპანურს მომცემდნენ ხელფასად,“ „ჩემი ხელფასი ექვსი შაურია“, „შენი ხელფასი არ შემრჩეს“.

აქ „ხელფასი“ ყველგან ხმარებულია, როგორც ფულადი ანაზღაურება და ნიშნავს შემკვეთის ამღები ხელოსნის საფასურს. სულხანს თავის ლექსიკონში ტერმინი „ხელფასი“ განმარტებული არა აქვს. მაგრამ ხელფასით განმარტებული აქვს სხვა ტერმინები, ასე მაგალითად: „სარეწავი – ხელფასი“, „მორეწა – ხელფასი აღება“, „მრეწავი – ხელფასის ამღები“. ამგვარად, სულხანის მიხედვით, ხელფასი შრომის ანაზღაურებაა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის დაქირავებული შრომის ანაზრაურება სამუშაო ძალის ანაზრაურებაა. სულხანის მიხედვით, ხელფასი არის ხელოსნებისა და მისთანა საკუთარი წარმოების საშუალებად მეპატრონეების შრომითი ანაზრაურება.

სულხანის ლექსიკონში მოიპოვება ტერმინები, რომლებიც ლაპარაკობენ დაქირავებული შრომის ანაზღაურებაზე. ასეთი არის, მაგალითად ტერმინი „მარდა“,რომელიც ლექსიკონში სულხანს შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „ასე არს არა დღითი ფასი, არამედ გარდაკვეთით მუშაობა“. აქ სულხანს მოცემული აქვს ხელფასის ორივე ძირითადი ფორმა: დროებითი ხელფასი და ცალობრივი ხელფასი. „დღითი ფასი“ არის დროითი ხელფასი, როდესაც დაქირავებული დღიურად მუშაობს. სულხანი ამბობს: „გარდაკვეთით მუშაობა“, არ არის დღიური ანაზრაურება. ეს არის შრომის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, პროდუქტის მიხედვით, რომელსაც გარდაკვეთილი ხასიათი აქვს. ვფიქრობ, რომ სულხანის მიერ

მოწოდებული ტერმინი „მარდა“ არის ის, რასაც უკანასკნელ დროში უწოდებდნენ, რიგ შემთხვევებში ახლაც უწოდებენ ნარდად მუშაობას. ნარდად მუშაობა საპირისპიროა დღიური მუშაობისა. ეს „ნარდად“ იქნებ არის დამახინჯებული „მარდა“. სხვანაირად მუშაობაში ნარდი რა შუაშია!

როგორც ხედავთ, ქართულ ენას უკვე ჰქონია დროითი ხელფასის გარდაქმნილი ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი – „მარდა“.

სულხანის მიერ ხელფასის ორი ძირითადი ფორმის აღმნიშვნელი ტერმინის მოცემა ნიშნავს იმას, რომ სულხანს ესმის და ერთმანეთიგან არჩევს შრომის ანაზღაურებას და დაქირავებული შრომის ანაზრაურებას.

სულხანის დროინდელ ენაში ტერმინი „ხელფასი“ აღნიშნავდა შრომის ანაზრაურებას, თანამედროვე ეკონომიკური ტერმინოლოგია ტერმინით „ხელფასი“ აღნიშნავს დაქირავებული შრომის ანაზღაურებას. სულხანისათვის ცნობილია აგრეთვე მომსახურების ფულადი ანაზღაურება. ამის გამომხატველია მის მიერ ლექსიკონით მოწოდებული ტერმინი „მოჯამაგირე“, რომელიც განმარტებულია, როგორც ვერცხლით დადგინებული მოსამსახურე და „ჯამაგირი“, როგორც „წლითი წლით გაჩენილი“, ე.ი. აქ ლაპარაკია დაქირავებული მსახურის ფულად ანაზრაურებაზე, რომელსაც დროითი ხელფასის ფორმა აქვს.

6. კრედიტი

სულხან-საბა ორბელიანი შრომებში მდიდრად არის წარმოდგენილი საკრედიტო ურთიერთობათა ამსახველი ტერმინები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იმ ხანის საქართველოში გავრცელებული ყოფუ ლა სავაჭრო და სასესხო ურთიერთობა. სულხანის ლექსიკონიდან ჩანს, რომ ვალად ასაღებ თანხას დებიტორის თვალსაზრისით ეწოდება სავალებელი, კრედიტორის მხრივ – სათავნო თანხა, რომელიც გაიცემოდა პროცენტის ანუ სარგებლის მისაღებად. ამის მიხედვით, კრედიტორს ეწოდებოდა მოთავნე, მთავნებელი, სათავნოს მოქმედი. კრედიტორს სხვანაირად ეწოდებოდა მევალე, ვალის გამცემი, მავასხებელი, ვალის მიმცემი. დებიტორს ეწოდებოდა მოვალე, მოვასხე, ვალის ამღები.

საკრედიტო ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პროცენტების ანუ სარგებლის საკითხი. სულხანი თავის ლექსიკონში გვაძლევს სარგებლის ორგვარ განმარტებას: 1. „სარგე-

ბელი“ საეროოდ განმარტებულია, როგორც რგების მომცემი. ასეთი რგება შესაძლებელია მიღებულ იქნეს ვაჭრობაში და სხვა საქმიანობაშიაც; 2. სარგებელი საკრედიტო ურთიერთობაში განმარტებულია, როგორც თავისის მონაგარი.

ორბელიანი გვაძლევს ვალის შემდგომ კლასიფიკაციას. ვალი გაიყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ვალი უსარგებლო (ის უწოდებს უსარგებლო) და ვალი სარგებლიანი. უსარგებლო ვალს ეწოდება სესხი. სარგებლიანი ვალი თავის მხრივ გაიყოფა ორად: წესიერი ვალი და უწესო ვალი. წესიერი ვალის სარგებელს ეწოდებოდა ვაშეხი, უწესო ვალის სარგებელს ანუ სარგებლის სარგებელს – ვახი, ვახში; აქედან წარმოდგება მევახშე, ე.წ. ვახშის ამღები. სულხანის ლექსიკონში მოიპოვება აგრეთვე მეორე ტერმინი „განმამავრებელი“, რომელიც განმარტებულია ისევე, როგორც სარგებლის სარგებელი.

ვალის აღება მოითხოვდა გარკვეულ მატერიალურ უზრუნველყოფას. მას ეწოდებოდა გირაო, აგრეთვე წინდი. წინდად შესაძლებელია ყოფილიყო ნივთი და შესაძლებელია ადამიანიც. სულხანს ლექსიკონში წინდი განმარტებული აქვს, როგორც „ვალისათვის მიცვალი“, მიცვალი განმარტებულია, როგორც „კაცი, წინდად დასმული“.

საკრედიტო ურთიეროობა გულისხმობს ვალის უკან დაბრუნებას. ამის აღმნიშვნელ ტერმინებს წარმოადგენდა „გარდახდა“ და „გარდახდევინება“. „გადახდა“ ნიშნავდა ვალის თავისი ნებით გასტუმრებას, გადახდევინება კი იძულებით ხლევეინებას. ცხადია, რომ ვალის უკან დაბრუნება ყოველთვის თავის ნებით არ მოხდებოდა.

ორბელიანის ლექსიკონში გადახდა განმარტებულია, როგორც „ვალის მორჩენა“, გარდახდევინება, როგორც „ვალის ხლევეინება“; „გარდახდევინება“ ნიშნავდა აგრეთვე დანაშაულის ხლევეინებასაც.

სულხან ორბელიანისთვის ცნობილია ორივე სახის კრედიტი: საქონლური და ფულადი. იგავში „ყასაბი და მყიდველი“ მოცემულია საქონლური კრედიტი, მხოლოდ ამ უკანასკნელს სამომხმარებლო დანიშნულება აქვს. იგავში „ბრძენი და მდიდარი“ მოცემულია ფულადი კრედიტი კაპიტალის გასესხების სახით, რომელსაც სავაჭრო დანიშნულება აქვს. ეს იგავი გვისვენებს აგრეთვე სავაჭრო და სასესხო კაპიტალის ურთიერთობას, ურთიერთკავშირს.

საქონლის ნისიად გაყიდვა, ასევე სესხის აღება განვითარებულ საკრედიტო ურთიერთობაში მოითხოვს დამოწმებას ან ხელწერილს, მოითხოვს ნდობის გარანტირებულ საშუალებებს. ასეთად, ცხადია, უკვე ვეღარ ჩაითვლებოდა წინათ არსებული საგარანტიო ნიშანი – თმის ბეწვი.

კაცმა მონის ხელით ერთი თმის ბეწვი გაუგზავნა ყასაბს, ხორცი

გამომიგზავნეო. „ყასაბმა უთხრა: – ვაჟო, თვით აქ იყო, წერიცა და ულვაშიცა ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი და ერთი გამოსაცოხნელი არ მიეკეც, ახლა ერთის ბალნით ბევრს რად გავუგზავნიო“. იგავში „ბერძენი და მდიდარი“ მოცემულია მოწმისა და ხელწერილის მოთხოვნა. „როდის ვახშე, მოწამე ვინ გიყის და ანუ ხელწერილი სად არის?“ „... ხვალე მოდი, ხელწერილს მოგცემო“. ყოველივე ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იმდროინდელ საქართველოში საკრედიტო ურთიერთობა უკვე მოითხოვდა ხელწერილებს. ამ საფუძველზე ჩნდებოდა საკრედიტო დოკუმენტები. ასეთები იყო მუჰარაკი, თამასუქი და სხვ.

სულხანის დროინდელ საქართველოში მევახშეობა არსებობდა მისთვის დამახასიათებელი ორივე ფორმით. მევახშე ფულს აძლევდა, ავალიანებდა მფლანგველს დიდკაცობას, განსაკუთრებით მემამულეებს; აკრედიტებდა აგრეთვე წვრილ მწარმოებლებს შრომის საკუთარი პირობების მფლობელთ. ესენი იყვნენ ხელოსნები, განსაკუთრებით გლეხები.

სულხანი მევახშეებს ებრძვის, მათ უწოდებს ანგარებს. „ანგარი“ მისი ლექსიკონის მიხედვით არის „უსამართლო ამკრები“. „ანგარი გასცემს ვახშთა ვეცხლს, რათა საუნჯენი აღავსნეს“. მევახშენი ყოველგვარი ეწესო და უსამართლო საშუალებით აგროვებენ სიმდიდრეს. ორბელიანი სასტიკ ბრძოლას უცხადებს მევახშეობას, მაგრამ იგი არ იბრძვის საერთოდ საერგებლის წესიერი, კანონიერი სარგებელის წინააღმდეგ, ისე, როგორც იბრძოდა თომა აქვინელი. ფეოდალიზმის პირობებში ფულს სესხულობდა კაცი მეტად გაჭირვებული. უმრავლეს შემთხვევაში სესხს ქონდა სამომხმარებლო დანიშნულება. ამიტომ გასაკვირველი არ არის ის დიდი სიძულვილი, რომელსაც ხალხი და იმდროინდელი ასრი იჩენდა გამსესხებლის, მით უმეტეს მევახშის წინააღმდეგ.

ფეოდალიზმის დაშლის პერიოდში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით იზრდება კრედიტის როლი. აქ უკვე ძირითადად საქმე ეხება ფულის სესხად აღებას. მის მიწათმოქმედებაში დაბანდებას, სხვადასხვა სავაჭრო ან რაიმე წამოწყებით საქმიანობაში გამოყენების მიზნით, რასაც შედეგად მოსდევს მოგების მიღება. აქ უკვე აღარ ითვლება უსამართლოდ კრედიტორის პრეტენზია მოგების გარკვეულ ნაწილზე, რამდენადაც მოგების მიღებაში მეტ-ნაკლები ზომით მონაწილეობდა მოგების მიღების არა მარტო საკუთარი სახსრები, არამედ ნასესხებიც. სულხანი კანონიერ სესხს არ ებრძვის.

ვახტანგ VI-ის სამართალის და სულხანის შეხედულებები სარგებელს

არ თვლიან უსამართლოდ. ისინი ებრძვიან მევახშეობას, სარგებლის სარგებელს. როდესაც სულხანი გვაძლევს სარგებლის იმგვარ კვალიფიკაციას, რომლის მიხედვით სარგებელი არის წესიერი და უწესო, ამით ის ადასტურებს სამართლიანობას წესიერი სარგებლისა და ბრძოლას უცხადებს მხოლოდ უწესო სარგებელს. ამით დასტურდება ის გარემოება, რომ იმხანად საქართველოში კრედიტს მთლიანად სამომხმარებლო დანიშნულება არ ჰქონდა.

7. ფინანსები

სულხანის აზრით, გაბატონებულ კლასს სჭირდება შეიარაღებული ძალა თავისი სიმდიდრისა და გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. შეიარაღებული ძალა მეპატრონეთა ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია. შეიარაღებული ძალის წარმომადგენელი (თვითონ მშიერი) სიცხესა და სიცივეში თვალმოუხუჭავად უნდა იდგეს მათ მცველად.

სახელმწიფოს ესაჭიროება ადმინისტრაციული აპარატი, მოხელეთა შტატი. წესრიგის დამცველი შეიარაღებული ძალა და ადმინისტრაციული აპარატი მოითხოვდა ამა თუ იმ ზომით სახელმწიფო ხარჯებს. ამ ორგანიზაციას ესაჭიროება ნაგებობები და შესაბამისი გაწყობილებანი, ასეთია მაგალითად, საგანგიო, სალარო და მისთანანი. მათ ესაჭირობათ სხვადასხვა რგება, სარგო, კვება. სულხანის ლექსიკონის განმარტებით საგანგიო იყო „სახლი სამოხელონი“, რომლის გამგებელი იყო ესოს მოძღვარი. მოხელეთა შტატი იყო მრავალგვარი. სულხანის ლექსიკონის მიხედვით, მოხელეთა შტატს შეადგენენ ვაზირნი, მრჩეველნი, მნე, რომელიც განმარტებულია, როგორც მოხელე, „ოსტიგანი“ – სასმელ-საჭმელთ მნე, „მოურავი“ – მნე, „მონაღვლე“ – მოხელე – მნე და ზედამდეგი, „ოფიკალი“ – მოხელე, „მოსამსახურე“ – სამსახურის მოქმედი და სხვა მრავალი. ისინი ღებულობდნენ შესაფერის გასამრჯელოს, მას ეწოდებოდა „სარგი“, „სარგო“. სარგო სულხანის ლექსიკონის განმარტებით იყო „მნეთ სარგებელი“, სხვანაირად, რგება, რომელიც ეძლეოდა შემოსავლად მოხელეებს.

სახელმწიფო ხარჯებს მოითხოვდა აგრეთვე დაქირავებული ჯარი, რომელიც ამ დროისათვის უკვე შემოდის საქართველოში და მისი შეიარაღება.

დიდ სახსრებს მოითხოვდა აგრეთვე ტყვეების გამოხსნა, გამოსყიდვა, მძევალი სეფე-წულების და დაჭერებული მეფეების გამოხსნა.

საჭირო იყო დიდი სახსრები, ან პირდაპირი საფასური მათ დასახსნელად. თვით სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთსა და იტალიაში იმოგზაურა და ვახტანგ VI-სთვის გამოსახსნელი ფული სთხოვა ლუი XIV-ს და რომის პაპს. სულხანის განმარტებით ტერმინი „სახსარი“ ნიშნავდა ტყვეების გამოსახსნელ ან მარტივად გამოსახსნელ ფულს.

სახელმწიფო ხარჯებს მოითხოვდა აგრეთვე რიგ შემთხვევებში თავდაუსხმელობის გამოსყიდვა ძღვენითა და სახსრებით, დამპყრობელთა სასრგებლოდ ხარკების გადახდა სხვ.

ყოველივე ამის გამო სახელმიწოფო ხარჯები იზრდებოდა და სახსრები საკმარისი არ იყო. ამის გამო აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ სულხან-საბა ორბელიანი მოითხოვს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას, იბრძვის მოხელეთა გაბერილი შტატის წინააღმდეგ.

სულხანის იგავი „მეპატრონე და მემარნე“ ასაბუთებს იმ აზრს, რომ არ არის მეურნეობრივად გამართლებული ადმინისტრატორების ან კონტროლიორების გამრავლება. როდესაც ერთმა მეპატრონემ დაათვალიერა თაფისი მარანი, ნახა ქვევრის პირს იდგა ერთი ჯამი. კითხვაზე მემარნემ უპასუხა, რომ ის ყოველ შემოსვლილსას ამ ჯამით ღვინოს მიირთმევს. ნაწყენმა მეპატრონემ მემარნეს სედამხედველად დაუყენა სხვა კაცი, რათა მემარნეს ამდენი ღვინო არ დაელია. მეორედ დათვალიერებისას მეპატრონემ იქ ნახა ორი ჯამი. ერთის ნაცვლად ახლა ორი სვამდა მის ღვინოს. ამგვარად, სულხანის აზრით, ახალი მოხელის დანიშნვა არათუ ამართლებდა, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარი ეკონომიის პრინციპს.

აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის პროგრესული შეხედულებანი ფუჭი ხარჯების წინააღმდეგ. სასახლის არისტოკრატიის ფუფუნების წინააღმდეგ და საერთოდ, ისეთი ხარჯების, რომლებიც გარეგნულად ფორმალურად ქმნის შთაბეჭდილებას სიკეთისა და, არსებითად, ხალხის ინტერესებს არ ემსახურება. ქვეყნის მეურნეობრივ დაწინაურებას ხელს არ უწყობს.

სულხანი ილაშქრებს ხარჯთა ზედმეტობის წინააღმდეგ, მოითხოვს შინაარსობრივად გამართლებული ხარჯების წარმოებას. სულხანი წერს: „ვითარცა რაფაშამანგი ერთი ჯდეს გალიათა შინა ერთსა მცირესა და ბოლო მისი არა განემართებოდეს და შეიმუსროდეს და არა განუფართო გალია იგი, რათა განსვენებით ვიდოდეს და არა აჭამოს საზრდელი მისი, რათა განპოხნეს, არამედ რცხიდე გალიათა მისთა და მოსთე ნაქსოვითა, გინა შეამკობდე ძივებითა და განირყვნას ფანშამანგმან მან ბოლო და ფრთები, და არა იზრუნო და შემდგომად მოკვდეს, რა სარგებელ იყოს გალიისა

მის რცხა და მძიეებითა კაზმვა? არა უმჯობეს არსა ფარშამანგისა განძლისება?“ ე.ი. გალიის შემკობა და გალამაზება ფარშავანგის თვალსაზრისით სრულიად ზედმეტია. იგი მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს არ შეუწყობს, პირიქით, ამცირებს კიდევაც, ეს ხარჯები მას აკლდება, მის შენახვაზე აღარ იხარჯება. რამდენადაც საქმე ადამიანებს ეხება, აქ კიდევ მეტი, მათი დამატებითი შრომის მითვისების ანგარიშიც წარმოებს მისთვის სრულიად არასაჭირო ხარჯების გაწევა.

როგორც ცნობილია, ფუჭი ხარჯები (faux frais) წინააღმდეგ გალაშქრება ენერგიულად დააყენებს კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოხატავდნენ რევოლუციური ბურჟუაზიის სულისკვეთებას.

ფუჭი ხარჯების წინააღმდეგ ბრძოლა ამა თუ იმ ზომით მოცემული აქვს სულხან-საბა ორბელიანს. ამდენად, იგი თავის დროის პროგრესულ მოაზროვნეთა მოწინავე რიგებში დგას.

გაზრდილი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად საჭირო იყო ხარჯები. სახელმწიფოს უნდა ესრუნა შემოსავალზე. შემოსავლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა საკუთარი მამულების შემოსავალი, რომელიც მიიღებოდა ღალის, ანუ ყანის ბეგარი სახით. მისი გადამხდელნი იყვნენ მიწათმოქმედნი, ანუ გლეხები. სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა ბეგარა. ამ დარგის შემოსავალი მიიღებოდა ფეოდალური ურთიერთობის მიწათმფლობელობის საერთო საფუძველზე.

შემოსავალთა ამავე სახეობას მიეკუთვნებოდა შემოსავალი სახასო მამულებიდან „სახასო“. სულხანის ლექსიკონით განმარტებულია როგორც „ბლისტი ანუ საკუთარი აგარაკი“. ამგვარად, შემოსავალი მიიღებოდა საკუთარი აგარაკებიდანაც. ეს იყო შემოსავალი, რაც მშრომელთა ძირითად ექსპლუატაციის ანგარიშით მიიღებოდა.

სახელმწიფო შემოსავალთა მეორე სახეობას წარმოადგენდა გადასახადები. სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს გადასახადების ორიეე სახეს: პირდაპირსა და არაპირდაპირს. პირდაპირ გადასახადებს შეადგენდა „ხარკი“ რომელიც სულხანის მიერ განმარტებულია, როგორც „სამეფო ხარჯი“ ე.ი. ხარჯი წარმოადგენდა სახელმწიფო შემოსავალს რომლითაც უნდა დაფარულიყო სახელმწიფოს საერთო ხარჯები. აქედან წარმოებული ტერმინები „მეხარკე – ხარკის ამკრეფი“ და „მეხარკე – ხარკთ გამღები“. გადასახადთა ამავე სისტემას შეადგენდა „საური“, „დიმოსი“, „მალი“. სულხანის ლექსიკონის მიხედვით „საური“ განმარტებულია როგორც ხარკი „დიმოსი“ როგორც – ვერცხლი სახარკო და მალი როგორც ხარკი მწვალებელი.

გარდა პირდაპირი გადასახადებისა სახელმწიფო შემოსავალს ღებულობდა არაპირდაპირი გადასახადებიდანაც. ამ დროისთვის საქართველოში არაპირდაპირი გადასახადი ცნობილია ბაჟის სახით. სულხანს თავის ლექსიკონში მოცემული აქვს არაპირდაპირი გადასახადის აღმნიშვნელი ორი ტერმინი: „ბაჟი“ და „ზვერი“.

„ბაჟი“ განმარტებულია, როგორც ტვირთის ხარკი, ე.ი. როგორც გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქონლის შემოზიდვა-გაზიდვაზე. აქედან არის წარმოებული ტერმინი „საბაჟო“, რომელიც აღნიშნავს ადგილს, სადაც ბაჟების გადახდევინება წარმოებდა. მას „საბაჟო“ განმარტებული აქვს, როგორც „ბაჟთ ადგილი“. სულხანი თავისი ლექსიკონით გვაწოდებს აგრეთვე მეორე ტერმინს ზვერი და განმარტავს, როგორც ბაჟი, აქედან წარმომდგარია „მეზვერე“ ე.ი. ბაჟის ამკრეფი.

წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“ ჩანს, რომ იმ დროის ქართლში ფული იჭრებოდა და ვერცხლისა იყო იგი ამ დროისთვის კი აღარ იბეჭედებოდა, არამედ იჭრებოდა. ფულის მომჭრელს ეწოდებოდა „ვერცხლის მუშა“. ამასთანავე ჩანს, რომ მონეტები ყოველთვის წმინდა ვერცხლისა არ იყო, რომ სახელმწიფო ფულის მოჭრას ფინანსური თვალსაზრისითაც იყენებდა. ჭრიდა ვერცხლის მონეტებს, რომლებიც ვერცხლზე უფრო ნაკლები ღირსების ლითონის შემცველი იყო. შეიძლება, რომ მონეტების გაყალბებას კერძო პირები, ფეოდალები ეწეოდნენ. ერთი სიტყვით, იმ დროისათვის ცნობილია, როგორც სულხანი უწოდებს, „შერყვნილი“ ვერცხლის მონეტები. ახლა ამის აღსანიშნავად ფინანსურ ლიტერატურაში იხმარება ტერმინი „მონეტების გაფუჭება“. ეს ტერმინი გაკეთებულია რუსული ტერმინიდან „порча монеты“. ასეთ მოვლენას ჰქონია ადგილი XVII–XVIII საუკუნის საქართველოში და მაშინ მას ეწოდებოდა მონეტების “შერყვნა.“

ნაწარმოებში ნარევი, არასუფთა ოქროს აღსანიშნავად ხმარებულია ტერმინი „განრყვნილი ოქრო“.

სულხანს თავის შრომებში ნაჩვენები აქვს სახელმწიფოსათვის დიდი სახსრების საჭიროება ფეოდალიზმის დაშლის დასაწყისის პერიოდში. მის მიერ არაკებში ნაჩვენებია, რომ გაღარიბებული მეჯუკეები სახელმწიფო ხარჯების ზრდის გამო, ფულის საჭიროებისათვის, უახლოვდებიან, უკავშირდებიან ბურჟუაზიულ ელემენტებს, წოდებრივად დაბალი წრის ადამიანებს, თუნდაც გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს. ისინი მზად არიან უკუაგდონ ტრადიცია, მაღალი ფეოდალურ-არისტოკრატიული წრის ჩვევები, პირადი თავმოყვარეობა და იქამდე მიდიან, რომ ქალებს ათხოვებენ გლეხებზე, ხელოს-

ნებას, ან თვით თხოულობენ მათ ქალებს.

სულხანის ერთ-ერთ არაკში „ინდოთ მეფეთა დალაქი“, მეფე ვეზირს ეკითხება: „დალაქმა ვით შემომბედა ქალის თხოვაო? მათ მოახსენეს: – ფუსი სალაროსა ზედა სდგომია და მას უთქმევინებია. მოთხარეს აბანოს ძირი და სულ ოქროთა და ვერცხლითა საესე იყო“.

მეორე არაკის „მეფე და მჭედელის“ მიხედვით მეფე გამდიდრებული მჭედელის ქალიშვილს თავისი ვაჟისათვის თხოულობს. „ამ მჭედელს ღმერთი წყალობს, მრავალი აქვს, ამის ქალს ჩემი შვილისათვის ვითხოვ“. ქორწილის შემდეგ მეფე მოითხოვს რძლის მზითვები უნახონ, იგი აღშფოთებული ამბობს: „ამიტომ ვითხოვე გლეხის ქალი, მრავალი ქონება ჰქონდა, ბევრი მზითევი გამოეტანებინაო...“.

სულხან-საბა ორბელიანმა ფულისა და განსაკუთრებით ფინანსური სახსრების ძალა და მნიშვნელობა ფეოდალიზმის დაშლის პერიოდისათვის სახელმწიფო სიმტკიცისათვის – ფინანსების მნიშვნელობა განათლებული აბსოლუტიზმის სისტემისათვის.

ცალკე აღსანიშნავია, რომ თუმცა სულხან-საბა ორბელიანს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ცნების გარკვევა არ უცდია და მისი გამოანგარიშება არ უწარმოებია, მაგრამ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის აღმნიშნელი ტერმინი მოგვაწოდა. მართალია, შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულისათვის, ვიდრე ქვეყანაა მთლიანად, მაგრამ მასშტაბი ამ მნიშვნელობას მაინც არ ამცირებს. იმ დროს ასეთი ტერმინი ყოფილა „პახტი“. ლექსიკონში სულხანი მას განმარტავს შემდეგნაირად: „პახტი ერთ წელიწადს ერთს თემას რაც მოსავალი გამოუვა ერთობით“. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო ცნებას „პახტი“ ემსგავსება დროისა და ტერიტორიული მონაკვეთის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ ტერიტორიის მხრივ უფრო მცირეა. განსხვავდება იმ მხრივ, რომ ერთობლივი პროდუქტის საერთო ცნება შეიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, პახტი კი მხოლოდ სოფლის მეურნეობას. მაგრამ ცნობილია, შესაძლებელია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი ნაანგარიშევი იქნეს მცირე ტერიტორიული ერთეულებისათვის და ცალკეული დარგებისათვის. „პახტი“ სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება.

8. საქართველოს მთლიანობისა და მისი მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისათვის ბრძოლა

სულხან-საბა ორბელიანის იდეალი იყო აღორძინებული, მთლიანი საქართველო. მაგრამ მას ხელს უშლიდა სათავადო სისტემის არსებობა. ეს უკანასკნელი ლახვარს სცემდა საქართველოს ეროვნულ მთლიანობას, ასუსტებდა მის თავდაცვით უნარიანობას. საფრთხეს უქმნიდა მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. პოლიტიკურ არსებობას და ხალხს უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

ამიტომ სულხანი ებრძვის საქართველოს დაქუცმაცებულობას. სათავადო სისტემას, კუთხურ პარტიკულარიზმს და გმობს სამკვიდროს ფეოდალურ გაგებას. ეს აზრი გამოხატულია არაკით „იხვი და მყვარი“. ერთ ადგილს დარჩენილიყო წყიმის მდგარი გუბე. მასში ჩაჯდა იხვი, რომელსაც დაუმობილდა მყვარი. როდესაც მზემ მცხუნვარებას უმატა, გუბეში წყალმა კლება შექმნა. იხვმა მყვარს (ბაყაყს) შესთავაზა სხვა გუბე მოეძებნოთო. მყვარმა უთხრა: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავტოვებო!“ იხვი გაფრინდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მობრუნდა მეგობრის სანახავად, ნახა – „გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკედარიყო“. უთხრა: – „ძმობილო, მაგისთანა სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“.

ამასვე ადასტურებს მეორე ადგილიც, „სიბრძნე სიცრუისდან“ – ბრძენი ლეონი, რომელსაც აბარებდნენ მემკვიდრის აღზრდას ამბობს: „მე აქა-იქ სვლითა გავზრდილვარ“. ამგვარად, სულხანის მიხედვით, მემკვიდრე უნდა აღზრდილიყო არა შეზღუდული ფეოდალური სამკვიდროს გაგებით, არამედ იმ ფართო ცოდნით, რომელიც შესაძლებელია მიღებულიყო ვიწრო კუთხური სამკვიდროს გაგების გადალახვით. თვითონ სულხანმაც ხომ ბევრი იმოგზაურა. ეს „აქა-იქ სვლის“ დაპირისპირება სამკვიდროს კუთხურ გაგებასთან არის იმ დროისათვის უფრო პროგრესული, ბურჟუაზიული ვითარების დაპირისპირება ფეოდალიზმთან. სულხანის ასეთი შეხედულება საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის ტენდენციების ასახვის მაჩვენებელია და ამ დაშლისადმი ხელისშეწყობის მოთხოვნის გამომხატველი.

მრავალი თავადისათვის საქართველო მხოლოდ მისი სამკვიდრო, სათავადო იყო. ასეთი თავადის შეგნება იმ ბაყაყის შეგნებაზე მეტი არ იყო. მრავალი მათგანი მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას იწყებდა მას შემდეგ, რაც მტერი მის სამკვიდროზე ფეხს შედგავდა. ზოგიერთი კიდევ მეზობელი სათავადოს განადგურებაში ან მეფის მტერს თვითონ ეხმარებოდა.

ამ არაკის მწვავე ლახვარი იყო კუთხური პარტიკულარიზმის მომხრეების, გამთიშველი, რეაქციონერი თავადების წინააღმდეგ.

სულხანის იდეალის — აღორძინებული მთლიანი საქართველოს განხორციელება მოითხოვდა დაქუცმაცების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ იდეის ქადაგებას მიუძღვნა მან არაკები: „ძალა ერთობაშია“ და „ძაღლები და მგელი“. ურთიერთმოქიშპე გამთიშველ თავადებს სულხანი კვლავ უმეორებს ცნობილ აზრს, რომელსაც ნაწარმოებში მეფე უებნება შვილებს: „თუმცა ერთად ხართ და ერთსა პირსა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსო, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გაეტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმა თაყიცა მოსთცაროთ და მოყვარეცა“.

სულხანი იგავით „ძაღლები და მგელი“ ილაშქრებს იმ დამრღვეველი შეუგნებელი საქმიანობის წინააღმდეგ, რომელსაც გამთიშველები ეწეოდნენ. სულხანს სურდა მოკინკლავე, სეპარატისტ ფეოდალებს თავიანთი თავი ძაღლებში დაენახათ და ეგრძნოთ, რომ ძაღლებზე უფრო უგნურად იქცეოდნენ. ძაღლები შუღლითა და ღრენით კბენენ ერთმანეთს, მაგრამ როდესაც ხედვენ მათ'ს მოსულ მტერს, ისინი სწყვეტენ ურთიერთშორის კბენას და გაერთიანებულნი უტევენ საერთო მტერს. ფეოდალები (დიდ უმრავლესობა) გარეში მტერთა შემოსევის დროსაც ქიშპობდნენ და მტრობდნენ ერთმანეთს.

თავისი ქვეყნის სიკეთითა და აღორძინებით გამსჭვალული, სულხანი ხედავდა, განსაკუთრებით ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და ნატრობდა მის დაწინაურებას, წინსვლას, დაწევას იმდროინდელი მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნებისა. თავის შრომაში „მოგზაურობა ევროპაში“ მრავალგან გამოთქმული აქვს ნატერა, რომ მის მიერ იქ ნანახი ბევრი რამ კარგი და საკვირველი საქართველოსაც ჰქონებოდა, აქაც შექმნილიყო. მაგრამ იგი იმასაც ხედავდა, რომ გასაკეთებელი ბევრი იყო, სიძნელეები და დაბრკოლებები მეტად დიდი. ამის გამო მოკლე დროში ეს ვერ მოხდებოდა; ამასთანავე, თვითონ უკვე მოხუცებული იყო. ამიტომ იტალიაში მოგზაურობის დღიურში ასე ჩაწერა: „ჩემს უკან, ღმერთმან ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას“.

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის დიდი პატრიოტი და მოაზროვნე სულხან-საბა ორბელიანი მრავალმხრივი მოღვაწეობით მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად ემსახურა თავის ქვეყანას. იგი არ ზოგავდა ძალღონეს, ყოველგვარ ხერხსა და გზას ეძებდა საქართველოს აღორძინებისათვის. სულხანმა იცოდა, რომ საქართველოს ეკონომიკური აღორძინების გარეშე ვერ გადაიჭრებოდა საქართველოს პოლიტიკური მთლიანო-

ბისა და მისი კულტურული აღორძინების საქმე. სულხანი ხედავდა, რომ დახავსებული ფეოდალიზმის მწვავე კრიზისის პირობებში ხალხის ხსნისათვის საჭირო იყო ახალი ეკონომიკური ძალა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ჩიხიდან გამოსვლას, საქართველოს საზოგადოების წინასვლას, მის ამაღლებას. ეს ახალი ძალა იმ დროის აზიური დიდი სახელმწიფოების ირან-თურქეთის მძლავრობისა და მათი ჩამორჩენილი მეურნეობრივი აზიური ფორმის დაწოლის გამო ვერ ვითარდებოდა საქართველოში. ამიტომ სულხანი ქართველ ხალხთან და მის მოწინავე ნაწილთან ერთად შეურიგებლად ებრძოდა საქართველოზე ირან-თურქეთის მძლავრობასა და მისი ორიენტაციის მატარებელ პირებს.

სულხანის ეკონომიკურ შეხედულებებში გამოხატულია ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვართა შექმნისათვის ხელის შეწყობა და ამ პროცესის შემსუდველი, შემაფერხებელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ სულხანმა გადაჭრით ზურგი შეაქცია ირან-თურქეთს და დახმარებას ეკონომიკურად დაწინაურებული ევროპისაგან ელოდა, მაგრამ დასავლეთ ევროპამ მას არ გაუმართლა იმედები და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში საბოლოოდ დაისადგურა აზრი რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983 წ. (ქართული პროზა, ტ. V).

2. სულხან-საბა ორბელიანი – „მოგზაურობა ევროპაში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ,. 1983 წ. (ქართული პროზა, ტ. V).

3. სულხან-საბა ორბელიანი – „სწავლანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983 წ. (ქართული პროზა, ტ. V).

4. სულხან-საბა ორბელიანი – ლექსიკონი ქართული,თბ.,1991 წ.

სარჩევი

წინასიტყვაობა ——— 3
შესავალი ——— 5
1. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი ——— 10
2. სიმდიდრის წყარო ——— 13
3. მოთხოვნა, მოწოდება და განაწილება ფასის მიხედვით ——— 21
4. ფული როგორც კაპიტალი ——— 23
5. ხელფასი ——— 29
6. კრედიტი ——— 31
7. ფინანსები ——— 34
8. საქართველოს მთლიანობისა და მისი მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისათვის ბრძოლა ——— 39
გამოყენებული ლიტერატურა ——— 41

კომპიუტერული უზრუნველყოფა ზ. წერეთელი.
გამომც. რედაქტორ-კორექტორი ნ. სახვაძე.

გადაეცა წარმოებას 01.16.2006.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 02.22.2006.
ქაღალდის ზომა 60x84 1/8.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,25.
საალრიცხო საგამომცემლო 2,75.
ტირაჟი – 200 ეგზ.

გამომცემლობა ევროპული უნივერსიტეტი
თბილისი, ჯიქიას - 10